შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №4. აპრილი, 2012.

თითოეული სტუდენტის კანონიერ უფლებას დავიცავთ

ამ ცხოვრებაში იოლი ნამდვილად არაფერი არ არის, მით უფრო პირველკურსელისთვის, მაგრამ ვფიქრობ, რომ მთავარი მონდომება და საქმის კეთების სურვილია. თუკი გეყვარება შენი საქმე, რის კეთებასაც გადაწყვეტ და გექნება გარკვეული პასუხისმგებლობის უნარიც, შეუძლებელი და მიუღწეველი არაფერია. ჩემმა მცირე ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ გამაბედვინა ის, რომ იმ უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი, რომელშიც განათლების მიღება ჩემი ოცნება იყო. პირველი დღიდანვე გამიჩნდა იმის სურვილიც, რომ აქტიურად ჩავრთულიყავი სტუდენტურ ცხოვრებაში. მაქსიმალურად შევეცდები უნივერსიტეტის სტუდენტურ ცხოვრებაში ჩემი სათქმელი ჩემივე საქმით ღირსეულად ვთქვა.

→ გვ. 3

ვულოცავთ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტმა, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელმა გივი აბაშიძემ მიმდინარე წლის 30 მარტს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე წარმატებით დაიცვა დისერტაცია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

→ გვ. 6

საერთაშორისო პროექტი — „დიგიტალიზებული თარგმნილი პოლიტიკური კორპუსი“

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო და ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტების მეცნიერთა თანამშრომლობის საფუძველზე შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2011 წლის 7 ოქტომბრის ბრძანებით შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეიქმნა დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული, თარგმანის კორპუსისა და ინტერდისციპლინური კვლევების საკოორდინაციო საბჭო, რომლის მიზანია შესაბამისი სამეცნიერო ცენტრის შექმნა.

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის, აშშ - კოლუმბიის უნივერსიტეტის მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფი ახორციელებს პირველ ერთობლივ საერთაშორისო პროექტს, რომელიც EWMI –G-Pac-ის აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის მიერ საუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა. პროექტი „დიგიტალიზებული თარგმნილი პოლიტიკური კორპუსი“, რომლის ბენეფიციარია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ითვალისწინებს ელექტრონული პოლიტიკური ტერმინების ლექსიკონის შექმნას ქართულ ენაზე და ემყარება თანამედროვე ინგლისურენოვან სასწავლო მასალებს, რომელიც პროექტის მენეჯერს კოლუმბიის უნივერსიტეტმა გადასცა. საგაზაფხულო სემესტრის განმავლობაში პროექტის მენეჯერი კოლუმბიის უნივერსიტეტში ლექსიკონის თარგმნის პროცესში მენტორი პოლიტოლოგისაგან მიიღებს კონსულტაციებს.

→ გვ. 7

სტილთა აღრევა და აკადემიური წერის სწავლების აუცილებლობა

არისტოტელე „რიტორიკაში“ ხაზგასმით მიუთითებდა იმაზე, რომ სტილი „არ უნდა იყოს არც ამაღლებული, არც მდაბალი, არამედ მიზანშეწონილი: „შეუფერებელია, როცა მონა ლამაზი სიტყვებით ლაპარაკობს უმნიშვნელო საგნებზე. მსმენელს ეგონება ორატორს ჩემი მოტყუება სურს, როგორც მეღვინეს შერეული ღვინითო. თუ აღლისფერი წამოსასხამი უხდება ახალგაზრდას, მაშინ რაღა შეჰფერის მოხუცს? მათ ხომ ერთნაირი ტანსაცმელი არ უხდებათ. როცა ვინმე გინდა შეამკო, უნდა შეადარო იმავე გვარში საუკეთესოს, მაგრამ როცა გინდა აძაგო, მაშინ უარესს უნდა შეადარო“. “კარგი სტილის სიტყვა ან ნაწარმოები მიზანშეწონილი, ე.ი. საგნის შესაბამისი უნდა იყოს“, — ასკვნიდა ორატორი.

→ გვ. 8

ქრისტე აღსდგა!

ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა! აღდგომა 12 საუფლო დღესასწაულს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია. ამ დღეს ქრისტე მკვდრეთით აღსდგა და ადამიანები პირველქმნილი ცოდვისგან დაიხსნა. მხოლოდ ამის შემდეგ გაიღო ადამიანებისთვის სამოთხის ბჭე. ადამიანის მოდგმის მხსნელად მოვლენილმა მაცხოვარმა გოლგოთას მთაზე ჯვართან ერთად კაცობრიობის ცოდვა ზიდა.

→ გვ. 9

უნივერსიტეტს საქართველოს ვიცე-პრემიერი გია ბარამიძე ეწვია

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძე ეწვია. საქართველოს ვიცე-პრემიერმა სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან გამართულ შეხვედრაზე ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და საქართველოს ურთიერთობებზე, ნატო-ში გაწევრიანების მნიშვნელობაზე, ავღანეთში ISAF-ის სამშვიდობო ოპერაციაზე, კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებაზე, ქვეყნის უსაფრთხოებაზე, დეოკუპაციის პერსპექტივებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ისაუბრა. შეხვედრის დასასრულს საქართველოს ვიცე-პრემიერმა გია ბარამიძემ სტუდენტების შეკითხვებს უპასუხა.

ტურიზმის ფაკულტეტის სამი სტუდენტი ერთწლიანი სასწავლო პროგრამით ნორვეგიაში გაემგზავრება

ნორვეგიის ტელემარკისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტების ერთობლივი პროექტის „ნორვეგიაში, საქართველოსა და ყირგიზეთში ტურიზმის მდგრადი განვითარებისა და ინოვაციების სფეროში განათლება“ პირველი ეტაპის განხორციელება დაიწყო. პროექტი ითვალისწინებს ყოველწლიურად ტურიზმის ფაკულტეტის 3 სტუდენტის ერთწლიან სწავლებას პარტნიორ უმაღლეს სასწავლებელში „ტურიზმის მენეჯმენტის“ სპეციალობაზე. მონაწილეები კომპეტენტურმა ჟიურიმ ინგლისური ენის ცოდნის, მაღალი აკადემიური მოსწრებისა და კულტურათაშორისი კომუნიკაციის უნარის მიხედვით შეარჩია. 45 კონკურსანტიდან მეორე ეტაპზე 10 სტუდენტი გადავიდა, რომელთაც ნორვეგიის ტელემარკის უნივერსიტეტის პროფესორებმა თემურ აბესაძემ და ფრუდე ლენგიმ 26 მარტიდან 6 აპრილამდე ტრენინგები ჩაუტარეს. მათგან სამი საუკეთესო სტუდენტი თამთა ქარცივაძე, თამაზ მახარაძე და ეთერ ჯინჭარაძე 2012 წლის 15 აგვისტოდან სწავლას ნორვეგიაში განაგრძობენ.

მემორანდუმი სხვადასხვა დაწესებულებასთან

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის აჭარის რეგიონულ დეპარტამენტთან“ შპს „ბი-ემ-სი გორგიასთან“, შპს „ბათუმის წყალთან“ და სამშენებლო კომპანია GIMG-თან. ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდება ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები და სამეცნიერო პროექტები, ჩატარდება ერთობლივი კვლევები, კონფერენციები, სიმპოზიუმები და სემინარები. მემორანდუმი ასევე ითვალისწინებს გამოცდილების გაზიარებასა და პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე სტუდენტების, მაგისტრანტებისა და რეზიდენტების პრაქტიკის გავლას.

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელები და მეცნიერ-თანამშრომელები საჯარო ლექციებს წაიკითხავენ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის აჭარის რეგიონული დეპარტამენტის“, შპს „ბი-ემ-სი გორგიას“ შპს ბათუმის წყალისა და კომპანია „GIMG”-ის თანამშრომლებისათვის. მათ ასევე შეეძლებათ ისარგებლონ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკით.

„მუჰაჯირობა მე-19 საუკუნის სამცხე-ჯავახეთსა და აჭარაში“

„საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთა დასახლებებისა და ყოფის კვლევის“ პროგრამის ფარგლებში მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარი გაიმართა თემაზე: „მუჰაჯირობა მე-19 საუკუნის სამცხე-ჯავახეთსა და აჭარაში (მიმდინარეობა და გადასახლებულთა რაოდენობა)“. პროფესორმა ჯუმბერ ვარდმანიძემ განიხილა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის რაოდენობა საომარი მოქმედებების დაწყებამდე, მუჰაჯირობის მიმდინარეობა 1828-1829 წლების საომარი მოქმედებების პერიოდში და ანდრიაპოლის საზავო ხელშეკრულების შემდეგ.

1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, ადრიანოპოლის ზავით რუსეთმა მიიღო ახალციხის და ახალქალაქის მაზრები (სამცხე-ჯავახეთი, ფოცხოვი და პალაკაციო), ხოლო 1878-1879 წლების ომის შემდეგ, ბერლინის ტრაქტატის ძალით, ბათუმის და ყარსის ოლქები (აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა, არტაანი, ტაოს ნაწილი).

რუსეთის იმპერია ახალი ტერიტორიების შემომტკიცებისათვის იბრძოდა და ამ მიწების ისტორიული წარსული თუ გეოგრაფია, ადგილობრივთა ცხოვრების ავკარგი არ აწუხებდა, მხოლოდ იმას აკეთებდა, რაც მისი პოლიტიკური მიზნებისთვის იქნებოდა საინტერესო და სასარგებლო. ამ დამოკიდებულების შედეგი იყო სწორედ მუჰაჯირობის ორი ტრაგიკული ტალღა მე-19 საუკუნეში — სამუსლიმანო საქართველოს მოუშუშებელი იარა, ასევე ადგილობრივთა გამოცხადება არაქართველებად, სხადასხვა ტომის ხალხთა ჩამოსახლება,

რეგიონის ეთნოგრაფიული აჭრელება და სხვა მრავალი ბოროტება.

ფრანკოფონიის დღე უნივერსიტეტში

ფრანკოფონიის საერთაშორისო დღის ფარგლებში შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შვეიცარიული ჯგუფ „Aliose“-ის კონცერტი გაიმართა. ჯგუფის წევრებმა ფრანგული შანსონისა და ტრადიციული როკის გაერთიანებით შექმნილი მუსიკა შეასრულეს. კონცერტს სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად საქართველოში შვეიცარიის საელჩოს წარმოამდგენლები ესწრებოდნენ. საქართველოში შვეიცარიის ელჩის მოადგილემ ანიტა შლუხტერ როტმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას საჩუქრად ფრანგულენოვანი ნიგნები გადასცა.

ლია ლექცია თემაზე: „ძილის აპნოეს სინდრომი: დიაგნოზი და მკურნალობა“

პეტრე სარაჯიშვილის სახელობის ნევროლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა ალეკო ჭიკაძემ ღია ლექცია წაიკითხა თემაზე: „ძილის აპნოეს სინდრომი: დიაგნოზი და მკურნალობა“. ცნობილმა მეცნიერმა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ძილის აპნოეს სინდრომის გამომწვევი ფაქტორები, მასთან ასოცირებული გართულებები და ძირითადი სიმპტომები გააცნო.

აუტიზმის ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღე

უნივერსიტეტში აუტიზმის ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღე აღნიშნა. რსუ-ს, საქართველოს აუტიზმის საზოგადოებისა და ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს ნეირორეაბილიტაციის განყოფილების ორგანიზებით გამართულ საინფორმაციო შეხვედრაზე ექიმებმა და ფსიქოლოგებმა დაავადების სპეციფიკაზე, თანამდევ პრობლემებსა და სამედიცინო დახმარების აუცილებლობაზე ისაუბრეს. აუტიზმი გავრცელების მაღალი სიხშირისა და განსაკუთრებული სპეციფიკურობის გამო შეფასდა, როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის სერიოზული კრიზისი და გამოწვევა. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2007 წლის 18 დეკემბერს მიიღო რეზოლუცია და 2 აპრილი აუტიზმის ინფორმაციის გავრცელების მსოფლიო დღედ გამოცხადდა. 2007-2009 წლებში ჩატარებული კვლევის მიხედვით საქართველოში 110 ბავშვიდან 1 დავადებულია აუტიზმით.

უნივერსიტეტში დედაენის დღე რამდენიმე ღონისძიებით აღინიშნა

დედაენის დღე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტრადიციულად რამდენიმე ღონისძიებით აღინიშნა. პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ტრანსპარანტებით მსვლელობა მოაწყვეს და ილია ჭავჭავაძის ძეგლი გვირგვინით შეამკეს. ლექტორებმა და მწერლებმა 1978 წლის 14 აპრილის მოვლენები გაიხსენეს და მშობლიური ენის სიწმინდის დაცვის მნიშვნელობაზე ისაუბრეს, ხოლო სტუდენტებმა დედაენისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს. განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ორგანიზებით სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა თემაზე: „სწორმეტყველება და აკადემიური წერა“. დარგის სპეციალისტებმა სტილთა აღრევაზე, აკადემიური წერის სწავლების აუცილებლობაზე, ქართული ენის უფლებების დაცვასა და სხვა აქტუალურ საკითხებზე იმსჯელეს.

სტუდენტთა კონფერენცია რადიაცია

სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ორგანიზებით კონფერენცია გაიმართა თემაზე: „რადიაცია“. განათლებისა და მეცნიერებათა და საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტების სტუდენტებმა 18 მოხსენება წარმოადგინეს რადიაციის გამომწვევ მიზეზებზე, საქართველოში არსებულ რადიოეკოლოგიურ მდგომარეობაზე, რადიოაქტიური ფონის გავრცელებასა და მის შედეგებზე. ახალგაზრდები რადიაციის თემაზე დისკუსიებს საჯარო სკოლებშიც მოეწყობენ და თავიანთ მოხსენებებს მოსწავლეებსაც გააცნობენ.

პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ შედეგების პრეზენტაცია

შოთა რუსთაველის დარბაზში სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ შედეგების წარდგინება გაიმართა. პროგრამაში მონაწილეობდნენ წარჩინებული, სოციალურად დაუცველი, ობოლი, მრავალშვილიანი ოჯახის წევრები, დევნილებ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა შვილები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტები. 67 მონაწილიდან 2011-2012 სასწავლო წლის მეორე სემესტრის სწავლის საფასურში შეღავათი მიიღო 44 ახალგაზრდამ (20 სტუდენტი - 100%-იანი, 3 სტუდენტი - 70%-იანი და 21 სტუდენტი - 50%-იანი).

წარმოგიდგენთ დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობს ფაკულ-ტეტების მიხედვით:

- განათლებისა და მეცნიერების ფაკულტეტი - 21 სტუდენტი;
- სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი - 11 სტუდენტი;
- ტურიზმის ფაკულტეტი - 3 სტუდენტი;
- საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი - 9 სტუდენტი;

სოციალურად დაუცველი, წარჩინებული სტუდენტების დასახმარებლად სტუდენტთა მხარდაჭერისა და მომსახურების სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა საქველმოქმედო კონცერტი. პროფესორ-მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის შემოწირულობით შეგროვდა 7 420 ლარი, ხოლო სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით - 1 445 ლარი. შემოსული თანხით დაფინანსდა 15 სტუდენტის სწავლის საფასური.

უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის ავთანდილ ბარათაშვილის მხარდაჭერით დამატებით დაფინანსდა 10 000 ლარის ოდენობით 15 სტუდენტის სწავლის საფასური.

სულ 74 სტუდენტმა მიიღო სასწავლო სოციალური გრანტი.

რეგიონული სემინარი ტექნოლოგიების გადაცემის საკითხებზე

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ismo/WIPO) და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით თბილისში, სასტუმრო „holidei inSi“, 11-12 აპრილს რეგიონული სემინარი გაიმართა. მსოფლიოს 18 ქვეყნის წარმომადგენლებმა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ტექნოლოგიების გადაცემის პრობლემების შესახებ იმსჯელეს. სემინარში შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ასოცირებული პროფესორი ნათია წიკლაშვილი და სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი ლილით მელოიან-ფუტკარაძე მონაწილეობდნენ. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ismo/WIPO) და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელებთან კონსულტაციების შემდეგ დაისახა მჭიდრო თანამშრომლობის მიმართულებები, რომელიც ხელს შეუწყობს ბსუ-ს მეცნიერებისა და პროფესორ-მასწავლებლების კვლევების პოპულარიზაციასა და კომერციალიზაციას.

ქართულ-გერმანული სკოლა-სემინარი ფუნდამენტურ მეცნიერებებში

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრაზე რექტორი, პროფესორი ალიოშა ბაკურიძე და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი ანდრო კაჭარავა ერთობლივი სკოლა-სემინარის ჩატარების პირობებზე შეთანხმდნენ. ქართულ-გერმანული სკოლა-სემინარი ფუნდამენტურ მეცნიერებებში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში 13-17 აგვისტოს გაიმართება და მასში მონაწილეობის მიღება ბაკალავრებს, მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს შეეძლებათ. საზაფხულო სკოლის მიზანია რუსთაველის ფონდისა და იულიხის კვლევითი ცენტრის საგანმანათლებლო კონკურსის მონაწილე ახალგაზრდა მეცნიერების შერჩევა. მკვლევრებს შესაძლებლეობა ექნებათ გერმანული კვლევითი ცენტრის სამეცნიერო ბაზაზე გაეცნონ განხორციელებულ ფუნდამენტურ, გამოყენებითი ხასიათის კვლევით პროექტებს და გაიღრმაონ სამეცნიერო პოტენციალი.

სტუდენტთა დასაქმების მუნიციპალური პროგრამის წარდგინება

ბათუმის მერიის ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსმა თამაზ დარჩიძემ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს სტუდენტთა დასაქმების მუნიციპალური პროგრამა წარუდგინა. პროგრამის ფარგლებში ქალაქის ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების 500 სოციალურად დაუცველი, ობოლი, დევნილის სტატუსის მქონე, წარჩინებული სტუდენტი დასაქმდება და 200-ლარიან ანაზღაურებას მიიღებს. პროგრამის პირველი ეტაპი ივნისში დაიწყება და ახალგაზრდები ყოველ შაბათ-კვირას სანაპირო ზოლის, ქალაქის ცალკეული უბნების დასუფთავებისა და გამწვანების აქციებში მიიღებენ მონაწილეობას. დასაქმების მსურველთა რეგისტრაცია 17 აპრილს დაიწყება და მონაწილეები 100-ქულიანი სისტემით, უმაღლესი სასწავლებლისთვის დადგენილი კვოტის გათვალისწინებით შეირჩევიან.

თითოეული სტუდენტის კანონიერ უფლებას დავიცავთ

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობას ახალი თავმჯდომარე ჰყავს. სტუდენტებმა რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტი, უჩა აბრამიშვილი აირჩიეს. რომელსაც მიაჩნია, რომ საქმის კეთების დროს უმთავრესი პასუხისმგებლობაა. დაპირებებისაგან თავს იკავებს, თუმცა ამავდროულად სტუდენტებს ჰპირდება, რომ მათ კანონიერ უფლებებს დაიცავს. მას უნდა, რომ უნივერსიტეტის სტუდენტურ ცხოვრებაში მისი სათქმელი საქმით გამოხატოს.

— იქიდან გამომდინარე, რომ პირველი კურსის სტუდენტი ხართ, გთხოვთ წარუდგინოთ საკუთარი თავი უნივერსიტეტის აუდიტორიას...

— მე გახლავართ უჩა აბრამიშვილი. წარმატებით დავამთავრე ბათუმის №15 საჯარო სკოლა, შემდეგ — ნავიგაციის ინსტიტუტი. გავიარე სამხედრო სავალდებულო სამსახური და 2011 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩავირიცხე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამჟამად განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი ვარ.

— სამომავლოდ სად წარმოგიდგენიათ საკუთარი თავი?

— აღნიშნულ ფაკულტეტზე სწავლა ზოგადად ჩემი სურვილი იყო. ბაკალავრიატის სასწავლო კურსის გავლის შემდეგ მიღებული ცოდნა, გარკვეული გამოცდილება და შეძენილი უნარ-ჩვევები განაპირობებს ჩემს შემდგომ ნაბიჯს კარიერული თვალსაზრისით. არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ სამომავლოდ სხვა სფეროში განვაგრძო მოღვაწეობა, თუმცა ზოგადად ვფიქრობ, რომ სადაც და რომელ სფეროშიც ვიმუშავებ, მინდა ვიყო წარმატებული არამარტო ჩემი, არამედ ჩემი ქვეყნის საკეთილდღეოდ. ძირითადად ასე წარმომიდგენია ჩემი საქმიანობა...

— როგორ ფიქრობთ, პირველკურსელი სტუდენტისთვის ეს ყველაფერი არ არის რთული?

— ამ ცხოვრებაში იოლი ნამდვილად არაფერი არ არის, მით უფრო პირველკურსელისთვის, მაგრამ ვფიქრობ, რომ მთავარი მონდომება და საქმის კეთების სურვილია. თუკი გეყვარება შენი საქმე, რის კეთებასაც გადაწყვეტ და გექნება გარკვეული პასუხისმგებლობის უნარიც, შეუძლებელი და მიუღწეველი არაფერია. ჩემმა მცირე ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ გამაბედვინა ის, რომ იმ უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი, რომელშიც განათლების მიღება ჩემი ოცნება იყო. პირველი დღიდანვე გამიჩნდა იმის სურვილიც, რომ აქტიურად ჩავრთულიყავი სტუდენტურ ცხოვრებაში. მაქსიმალურად შევეცდები უნივერსიტეტის სტუდენტურ ცხოვრებაში ჩემი სათქმელი ჩემივე საქმით ღირსეულად ვთქვა.

— როგორ შეაფასებდით დღევანდელი სტუდენტური თვითმმართველობის გუნდს?

— ვფიქრობ, მისასალმებელია ის, რომ გუნდი ძირითადად დაკომპლექტებულია აკადემიურად წარმატებული სტუდენტებით. უმეტეს მათგანს აქვს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში გარკვეული გამოცდილება; ისინი იჩენენ ახალ-ახალ ინიციატივებსაც. რაც მთავარია, არის თანამოაზრეთა ძლიერი გუნდი.

— თანატოლებს რას ურჩევთ?

— თანატოლებს, პირველ რიგში, ვურჩევ მაქსიმალურად იყვნენ სწავლაზე ორიენტირებული და აქტიურად ჩაერთონ როგორც საუნივერსიტეტო, ასევე ქალაქის და რეგიონის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

— როგორ ფიქრობთ, რით დაიმსახურეთ თანატოლების ნდობა?

— რაც ყველაზე მეტად მიჭირს, ეს არის საკუთარ თავზე საუბარი, მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ ვარ ერთგული, მეგობრული და კარგად მაქვს გათავისებული გაჭირვებაში მყოფ ადამიანს გვერდში რომ უნდა დავუდგე.

— უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობისა და სტუდენტების ურთიერთობა საინტერესო საკითხია. რას ჰპირდებით მათ?

— მე ნამდვილად თავს შევიკავებ ყოველგვარი დაპირებისგან, მაგრამ პირველი ნაბიჯები, რაც ჩვენ თვითმმართველობაში გადავდგით, იქითკენ არის მიმართული, რომ ყველა სტუდენტის კანონიერ უფლებას დავიცავთ და მათ სატკივარს გავითავისებთ.

— ახალი წევრებით დაკომპლექტებულ თვითმმართველობაში კონკრეტული ცვლილებები ხომ არ იგეგმება?

— ჩვენ ვგეგმავთ ცვლილებებს, რათა თვითმმართველობის წევრების ფუნქცია გაიზარდოს და თავისი სიტყვა თქვან უნივერსიტეტის ფაკულტეტებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილების მიღებაში.

— როგორია ბათუმის უნივერსიტეტის ახლადარჩეული სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარის სამომავლო გეგმები, მიზნები და ამოცანები...

— სამომავლო გეგმებს თანდათან ვაყალიბებთ სტუდენტებთან ყოველდღიური შეხვედრებიდან გამომდინარე. სტუდენტებთან შეხვედრა, საუბარი, მოგვცემს ერთგვარ სურათს, რა მიზნები აქვთ, რა პრობლემები აწუხებთ, რა ინიციატივები, იდეები აქვთ და რისი გაკეთება სურთ. გვაქვს პრიორიტეტები და მათ შორის, ვფიქრობ, ერთ-ერთი უმთავრესი არის სოციალურად დაუცველი სტუდენტების მხარდაჭერა და შეძლებისდაგვარად სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობა.

პირველკურსელის მადლობა მასწავლებელს

მასწავლებელი გიული მეფარიშვილი ქობულეთის №3 საჯარო სკოლაში I-V კლასებში მასწავლიდა. ახლა მე უნივერსიტეტის I კურსის სტუდენტი ვარ და მინდა მადლობა გადავუხადო გაწეული ღვაწლისათვის.

ძვირფასო გიული მასწავლებელო, თქვენ მასწავლეთ დედა ენა, შემაყვარეთ აი-ია, მასწავლეთ ღრუბლებიდან დედამიწაზე უმტკივნეულოდ დაშვება. თქვენში ვკითხულობ ათასჯერ გადაშლილ და ცოდნით სავსე წიგნებს. თქვენში მე ვხედავ იმედიან მზის სხივს, სწავლით გასავლელ უამრავ ბილიკს, თქვენში მე ვაფასებ უსაზღვრო დუმილს, გონებით შემუშავებულ გეგმებს, თქვენში მიყვარს როცა გაიძახით აი იაა ჩვენი სამშობლო. მე მიყვარს თქვენში თქვენი დუმილის შეცნობა. იცით, რამდენჯერ მინატრია თქვენნაირი ვყოფილიყავი? თქვენ ხომ თვალებით საუბრობთ, მიმოხვრით, საქმით, დუმილით აშუქებთ ზრდილობას, თავაზიანობას და ღირსებას. ადრე ვერ ვხდებოდი რატომ იყავით ქალბატონი გიული მეოთხე კლასის მოსწავლისათვის ასეთი მისაბაძი და დასაფასებელი პედაგოგი. ახლა კი იან ამოს კომენსკის მიერ შემუშავებული განათლებული ადამიანის დახასიათებას გავეცანი. 9 წლის შემდეგ თვალწინ ისევ თქვენი ზმანება დამიდგა. მივხვდი, რატომ მეუბნებოდით ბავშვობაში — დუმილს ოქროს ფასი აქვსო, ეს ოქრო კი ადამიანია და არა მატერიაო, მაშინ ამ სიტყვებზე მეღიმებოდა, ახლა კი როდესაც რეალობის წინაშე დავდექი, მივხვდი, რომ თქვენი წინასწარი საღი განსჯის შედეგად ბევრი რამ შემძინეთ. თქვენი მეშვეობით ვისწავლე, სასოწარკვეთილებას რომ არ მივეცე, თუ საქმე არ გამოდის, პირიქით, ის თავიდან უნდა გავაკეთო. ბევრჯერ დუმილით გისაუბრიათ ჩემთან, რომელსაც არაფრად ვთვლიდი ადრე. ახლა კი მსურს ვისწავლო ყველა ოქროზე ძვირფასი დუმილი. მინდა ვიყო ამასთანავე განათლებული აღმზრდელის განათლებული აღზრდილი. ბოლოს კი მინდა, მეოთხე კლასში რომ ლექსი მოგიძღვენით იმ სტრიქონებით მოგეფეროთ:

„შემასწავლე ანი-ბანი
შემაყვარე დედა-ენა
სულ აკვანზე ამიყვავე
სამშობლო და ჩვენი რწმენა
დუმილს მირჩევ?
რატომ დედა?
განათლებით რა ვარ ნეტა?
მე მიყვარხარ ისე, როგორც
სამშობლო და ჩემი დედა.
თქვენ მასწავლეთ ჩემი ენა
მტკიცე, მტკიცე ნებისყოფა
დუმილს უნდა კაცის ენა
ეს არ არის ჩვენი რწმენა“?

თამარ ძირკვაძე,
განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი,
I კურსი

ბზობა!

მართლმადიდებლური ეკლესია დიდმარხვის მეექვსე კვირა დღეს ზეიმობს მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლას, რასაც ქრისტიანები ბაიაობას

ანუ ბზობას უწოდებენ. ეს გახლავთ თორმეტთაგან როგორც პირველი მოძრავი დღესასწაული, რომელიც ყოველთვის ემთხვევა ბრწყინვალე აღდგომის წინა კვირა დღეს.

„ერი მრვალი, რომელ-იგი მოსრულ იყვნეს დღესასწაულსა მას, რამეთუ ესმა, ვითარმე იესო მოვალს იერუსალემდ, მოიღეს რტოები დანაკადის კუდთაგან და განვიდეს მიგებებად მისა, ღაღადებდეს და იტყოდე:ოსანა! კურთხეულ არს მომავალი, მეუფე ისრაელისაი!“, — ასე აღწერს იოანე მახარებელი მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლის ამბავს.

უბრალო ხალხმა იერუსალიმში საზეიმო შეხვედრა მოუწყო უფალს. ეს დახვედრა ადამიანთა ყველაზე წმინდა, წრფელი გრძნობების უეცარი გამოხატულება იყო. ასე ხდება, როცა ადამიანი ხარობს ღვთის დიდებულებისა და მისთა საკვირველთა საქმეთა გამო.

როდესაც მაცხოვარი მიუახლოვდა ვათანიის მთას, რომელსაც ზეთისხილის მთა ეწოდება, ორი მოწაფე უახლოეს სოფელში გააგზავნა, რათა მიეყვანათ მისთვის შესასვლელშივე დაბმული ვირი და ჩოჩორი, რომლის ზურგზეც ჯერ არავინ მჯდარიყო, მოციქულებმა ბრძანება შეასრულეს.ეს ყველაფერი იმისთვის მოხდა, რომ ასრულებულიყო წინასწარმეტყველება ზაქარიასი: „და პოვა იესო ვირი და დაჯდა მას ზედა, ვითარცა წერილ არს: ნუ გეშინინ, ასულო სიონისაო! აჰა ესერა, მეუფე შენი მოვალს შენდა და ზე იგი კიცვსა ვირისასა“ (იოანე 12,14-15).

ბზის ან პალმის მშვენიერებით ეკლესია უფრო ცხოვლად გამოხატავს უფლის დიდებით შესვლას იერუსალიმში. ღმერთი ყველა ჩვენთაგანს სთხოვს, სულიერად შეეგებოს მას, სამოსლის ნაცვლად გული გაუფინოს მეუფეს, მხურვალე ლოცვა და თაყვანისცემა კი ბზის ტოტებივით მიართვას და ისე მიიღოს უფალი საკუთარ სულში.

დიდ ხუთშაბათი!

დიდ ხუთშაბას წმინდა ეკლესია აღნიშნავს სახარებისეულ მოვლენას, — საიდუმლო სერობას, როდესაც მაცხოვარმა წესად დადო წმინდა ზიარების საიდუმლო.

უფალმა თავის ამქვეყნიური ცხოვრების უკანასკნელი საღამო მოწაფეებთან ერთად გაატარა. ებრაელები ზეიმობდნენ პასექის დღესასწაულს, როდესაც ეგვიპტის ტყვეობიდან გათავისუფლდნენ. დღესასწაულის წინა საღამოს, მზის ჩასვლის შემდეგ. ოჯახის უფროსი ერთი წლის ბატკანს კლავდა, მთლიანად წვავდა და ოჯახთან ერთად შეექცეოდა. რაკი უფალმა იცოდა, რომ თავი პასექის დღესასწაულზე უნდა შეეწირა, სერობა სწორედ წინა დღეს, ხუთშაბაც გამართა. უფალმა პეტრე და იოანე გაგზავნა და უთხრა, რომ იერუსალიმის კარიჭესთან კოკით მიმავალი კაცი შეხვდებოდათ. სახლში, რომელიც იგი შევიდოდა, პატრონი მათთვის გამზადებულ ოთახს დაახვედრებდათ.

საღამოს უფალი მოციქულებთან ერთად მივიდა იმ სახლში. უფალმა ჯერ სათითაოდ დაბანა მათ ფეხი და როცა პასექის საჭმელად დასხდნენ, მაცხოვარმა მოწაფეებს ამცნო, რომ ერთ-ერთი მათგანი გასცემდა. მოციქულები გაოგნებულნი ეკითხებოდნენ, ვინ იქნებოდა გამცემი, რადგან უფლისადმი ერთგულებაში ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ სწამდათ, რომ უფალმა მათი გულისნადები მათზე უკეთესად იცოდა. მაცხოვრისგან ფარულად მხილებულმა იუდამ არ შეიმჩნია და კადნიერად იკითხა, ვინ იქნებოდა გამცემი, რაზეც პირდაპირ მაცხოვარმა უპასუხა რომ სწორედ ის იყო გამცემი. პასექის დასრულების შემდეგ უფალმა აიღო პური, აკურთხა, გატეხა, მოწაფეებს საჭმელად მისცა და უთხრა: „ესე არს ხორცი ჩემი თქვენთვის მოცემული, ამს ჰყოფდეთ მოსახსენიებლად ჩემდა“. შემდეგ აიღო სასმისი, მისცა მათ და უთხრა: სუთ ამისგან ყოველთა: „ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისა, მრვალთათვის დათხეული მისატევებლად ცოდვათა — ამით დააწესა უფალმა ერთ-ერთი უდიდესი საიდუმლო — ზიარება.

სახარების მიხედვით ზიარების გარეშე ცხონება შეუძლებელია. ღირსეულად მიღებული უფლის სისხლი და ხორცი დემონებს განაგდებს ჩვენგან და მცველად ანგელოზებს უხმობს.

აღდგომა!

ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა! აღდგომა 12 საუფლო დღესასწაულს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია. ამ დღეს ქრისტე მკვდრეთით აღსდგა და ადამიანები პირველქმნილი ცოდვისგან დაიხსნა. მხოლოდ ამის შემდეგ გაიღო ადამიანებისთვის სამოთხის ბჭე. ადამიანის მოდგმის მხსნელად მოვლენილმა მაცხოვარმა გოლგოთას მთაზე ჯვართან ერთად კაცობრიობის ცოდვა ზიდა.

აღდგომას წინ ყველაზე მძიმე და დიდი მარხვა უსწრებს. დღესასწაულის შესახვედრად მორწმუნეები სულიერად ემზადებიან. აღდგომამდე ერთი კვირით ადრე ბზობაა — ანუ ქრისტეს იერუსალიმში დიდებით შებრძანებას ზეიმობენ. ორშაბათიდან კი ვნების კვირეული იწყება.

ვნების კვირეულში თითოეული დღე გარკვეული მნიშვნელობის მატარებელია. განსაკუთრებით გამოიყოფა ხუთშაბათი დღე, რომელიც საიდუმლო სერობის დღეა, როდესაც მაცხოვრის ზიარების საიდულოს აწესებს და წითელ პარასკევს — ქრისტეს ჯვარცმის დღეს. ეს ყველაზე, მძიმე დღეა თითოეული ქრისტიანისათვის. პარასკევობით წითლად ღებავენ კვერცხებს, რაც მაცხოვრის მიერ ჩვენთვის დაღვრილი სისხლის სიმბოლოა.

ვნების კვირეულის მძიმე დღეების დაგვირგვინებაა კვირა — მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაული, დღე, რომელიც ნებისმიერი მორწმუნისათვის უდიდესი სიხარულის მომტანია.

აღდგომა უდიდესი მოძრავი ქრისტიანული დღესასწაული მაცხოვრის აღდგომა გაზაფხულზე,

ახალი სტილი 4 აპრილისა და 8 მაისს შორის აღინიშნება. ეს უდიდესი მნიშვნელობის დღეა. ოთხივე სახარების თანახმად, ებრაელთა პასექზე, პარასკევ დღეს ქრისტეს იერუსალიმში, გოლგოთაზე ჯვარს აცვეს, სამი დღის შემდეგ კი მაცხოვარი მკვდრეთით აღსდგა. აღდგომის ღამეს, როდესაც ყველა ტაძარში სადღესასწაულო წირვა-ლოცვა აღევლინება, ერი და ბერი მოუთმენლად ელის ცეცხლის ჩამობრძანებას. უამრავი ადამიანი აეროპორტში მოუთმენლად ელოდა უდიდესი სიწმინდის ხილვას. სასულიერო და საერო დელეგაციას, რომელმაც იერუსალიმიდან ცეცხლი ჩამოაბრძანა, მიეგებნენ მლოცველები და სანთლები ზეციური ცეცხლით გააჩირაღდნეს.

გვერდი მოამზადა
ჟურნალისტიკის სპეციალობის
II კურსის მაგისტრანტმა

გვანცა საბაშვილმა

ახალი თვალსაზრისი აღზრდის საგნის შესახებ



პედაგოგიკას სხვა დარგის მეცნიერებათაგან მისი საყოველთაო სახალხო მნიშვნელობა გამოარჩევს. იგი, როგორც აღზრდის მეცნიერება და როგორც აღზრდის ხელოვნება აუცილებელი ცოდნის დარგია იმათთვის, ვისაც ყოველდღიური ურთიერთობა აქვს მეორე ადამიანთან. პედაგოგიკა — ეს არის მეცნიერება ყველასათვის. მისი წარმოშობა და სრულყოფა ცხოვრების კარნახით არის განპირობებული. მას შემდეგ, რაც საკაცობრიო ცივილიზაციის გარიჟრაჟზე აუცილებელი გახდა მოზარდი თაობისათვის უფროსი თაობის ცხოვრებისეული გამოცდილების გადაცემა, ჩაისახა და დღემდე ინტენსიურად ვითარდება პედაგოგიკური აზროვნება.

თავდაპირველად პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: ვის უნდა ვასწავლოთ, ვინ არის აღზრდის საგანი? შემდეგ კი — რა ვასწავლოთ ახალგაზრდობას? (და არამარტო ახალგაზრდობას).

მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელმა, იან ამოს კომენსკიმ აღზრდის გარეშე დარჩენილი ადამიანი არაორაზროვნად შეადარა მოუშინაურებულ მტაცებელ ცხოველს. მკვლევარი საგანგებოდ წერდა ადამიანში პიროვნების აღზრდის აუცილებლობაზე: „ადამიანი არის ყველაზე უფრო მშვიდი, ყველაზე ღვთაებრივი სულდგმული, თუ იგი **მოშინაურებულია** ჭეშმარიტი აღზრდით. და თუ მას არ მიუღია აღზრდა, ან ყალბი აღზრდა მიიღო, მაშინ ის არის ყველაზე უფრო ველური იმ ცხოველთა შორის, რომლებსაც დედამიწა წარმოშობს“ (დიდი დიდაქტიკა, V, 6).

პიროვნების ცვალებადი სულიერი სამყაროს აღზრდის სირთულეზე მსჯელობს კ.დ. უშინსკი თავისი საეტაპო ნაშრომის — „ადამიანი აღზრდის საგანი“ წინასიტყვაობაში: „აღმზრდელი უნდა ცდილობდეს გაიცნოს ადამიანი, როგორც ის არის ნამდვილად, ყველა მისი სუსტი მხარითა და მთელი მისი სიდიადით, ყველა მისი ყოველდღიური წვრილმანი საჭიროებით და დიდი სულიერი მოთხოვნილებით. აღმზრდელი უნდა იცნობდეს ადამიანს ოჯახში, საზოგადოებაში, ხალხში, ადამიანობასა და თავის სინდისთან განმარტოებაში; ყველა ასაკში, ყველა კლასში, ყველა მდგომარეობაში, სიხარულსა და მწუხარებაში, დიდებასა და დამცირებაში, ძალთა სიჭარბესა და ავადმყოფობაში, განუსაზღვრელ იმედებში და მომაკვდავის სარეცელზე, როდესაც ადამიანის სანუგეშო სიტყვა უკვე უძლურია. იგი უნდა იცნობდეს ყველაზე ბინძურ და ყველაზე დიად მოქმედებათა აღმძვრელ მიზეზებს, დანაშაულებრივი და დიადი აზრების ჩასახვის ისტორიას, ყოველგვარი გატაცებისა და ყოველგვარი ხასიათის განვითარების ისტორიას. მხოლოდ მაშინ შეეძლება მას ამოწუროს ადამიანის ბუნების წიაღიდან აღმზრდელობითი გავლენის საშუალებანი — ეს საშუალებანი კი უაღრესად დიდია.

მიუხედავად ამისა, პედაგოგიკის სახელმძღვანელოებში ფეხი ვერ მოიკიდა აღზრდის საგნის თანმიმდევრულმა კვლევა ძიებამ. არადა, თავის დროზე (XV საუკ.) იან ამოს კომენსკის არც ეს საკითხი დაუტოვებია უყურადღებოდ და განთქმულ „დიდ დიდაქტიკაში“ საგანგებოდ მიუთითა, რომ ადამიანში პიროვნების აღზრდის წარმატებისათვის აუცილებელია აღსაზრდელის წინასწარი, ყოველმხრივი შესწავლა. ამასთან დაკავშირებით ის მიმართავს ანალოგიას: „ხარატი სანამ გამოახარატებდეს რამეს, ჯერ ხეს ცულით გათლის; მჭედელი სანამ შეუდგებოდეს რკინის ჭედვას, ჯერ მას დაარბილებს; ფეიქარი სანამ მატყლისაგან მორთავდეს ძაფს, გააკეთებდეს ქსელს და ქსოვას შეუდგებოდეს, ჯერ მას გაწმენდს, გარეცხავს, გაპენტავს; მეწაღე სანამ ფეხსაცმელს შეკერავდეს, ჯერ ტყავს დაამუშავებს, გაჭიმავს, მოასწორებს; მაგრამ ვინ აქცევს ყურადღებას იმას, რომ ამავე წესით, სანამ მოსწავლეს მეცადინეობას დააწყებინებდეს, მასწავლებელმა ჯერ უნდა აღუძრას მას სწავლის სურვილი, შეუქმნას სწავლის უნარი და ისე დაარიგოს, რომ ყველაფერში თავის ხელმძღვანელს უჯერებდეს?“.

ი.ა.კომენსკი ანტიპედაგოგიურად მიიჩნევს პრაქტიკას, როცა მასწავლებელი იქიდან იწყებს სწავლა აღზრდას, რა მდგომარეობაშიც პოულობს იგი თავის მოსწავლეს და მაშინვე შეუდგება მუშაობას: სწრაფად ძერწავს, სწრაფად ჭედავს, სწრაფად პენტავს, სწრაფად ქსოვს, სწრაფად მოარგებს თავის კალაპოტს და სურს იგი ჩქარა გაპრიალდეს და ბრწყინავდეს. და თუ ეს უცბად არ ხდება, როგორც ეს მას სურს, მაშინ იგი აღშფოთდება ხოლმე, ყვირის, მძვინვარებს, ცოფდება. კომენსკი სვამს კითხვას: ,,განა საკვირველია, რომ ასეთ სწავლას თავს არიდებენ და გარბიან? უფრო გასაკვირი ისაა, — დასძენს ი.ა.კომენსკი, — თუ ვინმეს შეუძლია აიტანოს ასეთი სწავლა“.

ადამიანში პიროვნების აღზრდის ფართომასშტაბიანი პრობლემა დასვა პროფესორმა რევაზ ბალანჩივაძემ თავის ნაშრომებში: „პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები“ (თბ., 1997 წ), „აღზრდის ფილოსოფიური საკითხები“ (კრებული სკოლაში სააღმზრდელო მუშაობის აქტუალური პრობლემები თბ., 2000 წ.); „ანთროპოლოგიური პედაგოგიკა“ (თბ., 2011 წ).

ამ ნაშრომების ამოსავალი პრინციპია „ადამიანის“ გააზრება ორი თვალსაზრისით: 1) ადამიანი, როგორც ბიოლოგიური არსება და 2) ადამიანი, როგორც მოაზროვნე, ზნეობრივი, სულიერი არსება. ადამიანი, როგორც ბიოლოგიური არსება, — როგორც ცხოველთა სამყაროს წევრი, — იბადება, იზრდება, ვითარდება და კვდება. ბიოლოგიური არსება ცოცხლობს და ამისათვის მას სჭირდება კვება, ბინა, ჩაცმა-დახურვა, მკურნალობა. შესაბამისად, მას ემსახურება მედიცინა, ხოლო მის არსებობას და განვითარებას სწავლობენ ბიოლოგია და ანატომია. ადამიანი, როგორც მოაზროვნე, ზნეობრივი და სულიერი არსება — პიროვნება-იწყება იქიდან, სადაც იგი კავშირს წყვეტს ცხოველთა სამყაროსთან, პროფ. რევაზ ბალანჩივაძის შეხედულებით, პიროვნება არ არის არც „მოაზროვნე“ და არც „იარაღის მკეთებელი ცხოველი“. ცხოველი, ყველა შემთხვევაში, ერთადერთი მოთხოვნილებით ცოცხლობს — „**მინდა**“ მისი ურთიერთობა გარესამყაროსთან არ შორდება შეგრძნებების სფეროს. ხოლო პიროვნება მიღებული აღზრდა განათლების მიხედვით ცოცხლობს და ცხოვრობს პრინციპით „**საჭიროა**“. თუ საჭიროა, იგი მსხვერპლად გაიღებს სიცოცხლესაც, რითაც იწყება და მთავრდება ცხოველი, — ამიტომ პიროვნება ვერ იქნება ცხოველთა კლასის წარმომადგენელი. მხედველობაში არ გვყავს ადამიანთა ისეთი ტიპები, როგორიც არიან ლუარსაბ თათქარიძე და მისი მეუღლე დარეჯანი (ი.ჭავჭავაძე — „კაცია ადამიანი?!“). ლუარსაბი და დარეჯანი იმიტომ ცოცხლობენ, რომ ჭამონ და იმიტომ ჭამენ, რომ იცოცხლონ. მხედველობაში არ გვყავს არც ისეთი ადამიანი, რომელმაც მამისეული ოროთახიანი ბინის დასასაკუთრებლად დაიქირავა **მკვლელი** და ფული გადაუხადა მამის, დისა და 17 წლის დისშვილის დასახოცად (ტელეარხი „იმედის“ 2011 წ. 5 ოქტომბრის სიუჟეტი). ამგვარი არსებების პრინციპია „მინდა“, „მშია“, „მწყურია“ და ისინი არაფრით განსხვავდებიან ცხოველისაგან იმიტომ, რომ მათ ქცევას ადამიანური გონი არ წარმართავს. პროფ. რევაზ ბალანჩივაძე წერს: ,,გონი მეტია, ვიდრე ფსიქიკა“, „პიროვნება არის გონიერი არსება“. როდის ყალიბდება ადამიანში პიროვნება? — ცხადია, მაშინ, როცა იგი კავშირს წყვეტს ცხოველთან ასკვნის ავტორი.

აღზრდის შედეგად ადამიანში პიროვნების ჩამოყალიბება ხანგრძლივი პროცესია და ჩვენ შედარებით გვიან ვხვდებით ბავშვებში პიროვნული ღირსებების პირველად გამოვლინებებს, კერძოდ, მას შემდეგ როცა ბავშვი იწყებს მეტყველებას და ახერხებს საკუთარი სურვილების, განწყობილებების სიტყვით გადმოცემას. ახალშობილის პიროვნებად ჩამოყალიბება კი დედის პირველი მიალერსებიდან იწყება. დედის ალერსი ჩვილში სიყვარულს ბადებს, სიყვარულით ავსებს მის არსებას. შესაბამისად, „აღუს“ პერიოდის შემდეგ მეტყველებასაც სწორედ საყვარელი ადამიანების დასახელების წარმოთქმით იწყებს. დედის ალერსი კარგი აღმზრდელია. ალერსის პედაგოგიკა, ჯერჯერობით კარგად არ გვაქვს დამუშავებული. ჟან-ჟაკ რუსო თავის დროზე (XVIII ს.) ამის აუცილებლობაზე მიანიშნებდა, როცა მოითხოვდა, რომ ჩვილი აუცილებლად დედის რძით ეკვებათ. დედის ალერსიდან იწყება სიყვარული. ამ სიყვარულს ეფუძნება პიროვნების აღზრდა. მხოლოდ სიყვარულს შეუძლია მართოს ცხოველისაგან განსხვავებული ადამიანის ცვალებადი ბუნება, საიდანაც კარგი აღზრდით შეიძლება ანგელოზი აღიზარდოს, ხოლო ყალბი აღზრდით მხოლოდ დაუნდობელი სატანა. ლომის ლეკვი, თუ არ დაიღუპა, სრულფასოვან ლომად ჩამოყალიბდება და იქნება დაუნდობელი მტაცებელი, მაგრამ სწორად შენიშნავს პროფ. რევაზ ბალანჩივაძე, — ადამიანის შვილი ასეთ გარანტიას არ იძლევა, რადგან იგი აზროვნებს. და აი, ამ პრობლემის გარკვევით იწყება „ანთროპოლოგიური პედაგოგიკა“, რომელიც, ჩვენი აზრით, ახალ თვალსაზრისს ავითარებს პედაგოგიკური მეცნიერების კარდინალური საკითხების შესახებ ადამიანში პიროვნების აღზრდა, პიროვნების სიცოცხლის საზრისი, პიროვნების ადგილი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციით წარმოქმნილ სინამდვილეში; ამასთან დაკავშირებით ავტორს საფუძვლიანად შემოაქვს მეცნიერულ ბრუნვაში ადამიანის გაუცხოების პრობლემა, როგორც საფრთხე საზოგადოებისათვის. ყველა ეს პრობლემა დაკავშირებულია უმთავრესთან — „ადამიანი-შესაძლებლობა“ როგორ ვაქციოთ აღზრდით „ადამიანსინამდვილედ“. თავისთავად ამ ხანგრძლივ პროცესს ავტორმა შეურჩია უაღრესად გონებამახვილური კრიტერიუმი **გაუცხოება**, რაც პროფ. რევაზ ბალანჩივაძის განმარტებით, არის „ადამიანის ისეთი მდგომარეობა, როცა იგი თავის ჭეშმარიტ არსს ვერ ახორციელებს, ან არ არის ის, რაც არ უნდა იყოს“ და იქვე დასძენს: „გაუცხოების ფენომენი, გაუცხოების ფაქტი ადასტურებს, რომ აღზრდის გარეშე ადამიანი-შესაძლებლობა“ „ადამიან-სინამდვილედ ვერ იქცევა, რამეთუ ყოველი შესაძლებლობა ვერ იქცევა სინამდვილედ“.

ამ პრობლემების გადასაწყვეტად პედაგოგიკა ვერ ჩაიკეტება საკუთარ ჩარჩოებში; იგი მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული თანამედროვე ფილოსოფიასთან, ფსიქოლოგიასთან; ოპტიმალურად უნდა მოიმარჯვოს მეცნიერული კვლევის ულტრათანამედროვე მეთოდები და მეთოდოლოგია, მაგრამ პედაგოგიკა იმთავითვე იქნება განწირული წარუმატებლობისათვის, თუ იგი არ განვითარდება, როგორც თანამედროვე მეცნიერება. ამასთან დაკავშირებით დაზუსტებას მოითხოვს პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების, ხასიათი: იგი მართლა ემპირული მეცნიერებაა თუ ანალიტიკური. ამ საკითხს პროფ. რევაზ ბალანჩივაძე ეხება 1997 წელს გამოქვეყნებულ „პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლებშიც“ და 2011 წელს გამოქვეყნებულ „ანთროპოლოგიურ პედაგოგიკაშიც“. „პედაგოგიკის ფილოსოფიურ საფუძვლებში“ ავტორი ხაზგასმით წერს: „აღზრდა მართლაც ემპირიული საქმიანობაა, მაგრამ პედაგოგიკა არ არის და არც შეიძლება იყოს ემპირიული მეცნიერება“ (გვ. 29). „რაკი ის მეცნიერებაა, ემპირიული არ შეიძლება იყოს“ (იქვე).

იგივე საკითხი სხვა მეთოდოლოგიური თვალსაზრისით არის გააზრებული „ანთროპოლოგიურ პედაგოგიკაში“. აქაც საპირისპირო შეხედულება არის განვითარებული. ავტორი წერს: „ხაზგასმით გვინდა ვთქვათ: „განათლების ფილოსოფიის“ გაჩენა არავითარ შემთხვევაში არ ხდის ზედმეტს **პედაგოგიკას, როგორც ემპირიულ მეცნიერებას**“. „პედაგოგიკამ კვლავაც უნდა გააგრძელოს თავისი საქმიანობა, როგორც ემპირიულმა მეცნიერებამ“.

პიროვნების აღზრდის ის პრინციპები, რასაც „ანთროპოლოგიური პედაგოგიკა“ გვთავაზობს, უაღრესად პრინციპული მნიშვნელობის მიდგომებია, მაგრამ იგი მხოლოდ აღრმავებს და აზუსტებს თეორიული პედაგოგიკის მეცნიერულ მისიას და ვერ იქნება მისი შემცვლელი. ანთროპოლოგიურ პედაგოგიკას ჩვენ ვერ განვიხილავთ, როგორც თეორიული (ტრადიციული) პედაგოგიკის ჩანაცვლებას. პედაგოგიკას ნამდვილად სჭირდება ფილოსოფიური ანთროპოლოგია, მაგრამ ტრადიციული პედაგოგიკა არ არის მხოლოდ აღზრდის თეორია.

პროფ. რევაზ ბალანჩივაძის „ანთროპოლოგიური პედაგოგიკა“ იმ თხზულებათა რიგს განეკუთვნება, რომელიც აღვიძებს და ახალი ენერგიით ავსებს მეცნიერულ აზროვნებას, აღვიძებს მკითხველში ჭეშმარიტების მაძიებელს.

იური ბიბილეიშვილი

დისერტაციის დაცვა

ვ ე ღ ო ბ ა ვ თ

← გვ. 1

სადოქტორო დისერტაციის თემა გახლდათ „პროკურორი გამოძიების სტადიაზე“, რომლის დამუშავება და სადისერტაციოდ წარდგინება განაპირობა ავტორის როგორც პროკურატურის ორგანოებში, მათ შორის ხელმძღვანელ თანამდებობებზე პროკურორად თითქმის 30-წლიანი პრაქტიკული მუშაობით მიღებულმა გამოცდილებამ, ასევე საკვლევი თემის აქტუალობამ, ამ მიმართულებით ბევრი თეორიული საკითხების ახლებურად წარმოჩენამ და გააზრებამ, რადგან უკანასკნელ წლებში საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებით და ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შემოღებით საქართველოში ჩამოყალიბდა ახალი ქართული პროკურორი — როგორც სამართალწარმოების ერთ-ერთი ძირითადი მონაწილე, რომლის საქმიანობას სისხლის სამართალწარმოებაში და მათ შორის გამოძიების სტადიაზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

დისერტანტის მიერ დასაცავად წარდგენილი თემა მართლაც მეტად აქტუალური იყო, თანაც პრობლემატური, რადგან ის თავისი მნიშვნელობით ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას წარმოადგენს სისხლის საპროცესო სამართლის თეორიაში, რაც სწორედ ამ თემის მეცნიერული კვლევის აუცილებლობაზე მიუთითებდა.

ამასთან, როგორც ცნობილია, საქართველოს ახალმა სსს კოდექსმა ბევრი საკანონმდებლო ნოვაცია შემოიტანა. მათ შორის ერთ-ერთ სიახლეს წარმოადგენს დისკრეციის პრინციპის დაკანონება თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში. ამავე კოდექსით ახლებურად ჩამოყალიბდა როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის პრინციპები, ასევე გამოძიებაზე პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობა.

ასევე საქართველოში მიმდინარე სისხლის სამართალწარმოების რეფორმირების შემდეგ სისხლის სამართალწარმოებაში, განსაკუთრებით კი გამოძიების სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელების კუთხით მკვეთრად გაიზარდა პროკურორის როლი და უფლებამოსილება, რამაც გარკვეულად შეცვალა პროკურორის საქმიანობა და მისი საპროცესო ფუნქციები.

უნდა აღინიშნოს, რომ გამოძიების სტადიაზე პროკურორის საპროცესო სტატუსის, მისიის, როლისა და ამოცანების, განსაკუთრებით კი სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის შესახებ საკითხი, სისხლის სამართალწარმოების თეორიაში ყოველთვის იყო სადისკუსიო, რაც გარკვეულად მოითხოვდა მეცნიერულ დონეზე დამუშავებულ დასკვნებს.

ეს კი განპირობებული იყო, როგორც ამ თემის სამეცნიერო შესწავლის არასაკმარისობით, ასევე იმ გარემოებითაც, რომ გამოძიების სტადიაზე სისხლის სამართალწარმოებაში პროკურორის საქმიანობას ინტენსიურად არ იკვლევდნენ.

ამ გარემოებამ კი გარდაუვლად დასვა საკითხი გამოძიების სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელებაში პროკურორის როლისა და ამოცანების მეცნიერული გააზრების შესახებ.

ჩვენი აზრით, სწორედ ამან განაპირობა წინამდებარე სადისერტაციო თემის კვლევის აქტუალობა, სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა.

ავტორის მიზანი სწორედ ის იყო, რომ ახალი საპროცესო კანონმდებლობის და განსაკუთრებით ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პოზიციიდან დაეანახა პროკურორის როლი და ადგილი გამოძიების სტადიაზე და წარმოეჩინა მისი საქმიანობის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები, შეძლებისდაგვარად დაესაბუთებინა მისი პოზიციები ამ საკითხთან დაკავშირებით..

აღნიშნული მიზნების მისაღწევად ნაშრომში გამოკვლეული და განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის: პროკურატურის სტრუქტურა, საქმიანობის პრინციპები და ამოცანები; გამოძიების, როგორც სისხლის სამართალწარმოების ერთ-ერთი ძირითადი სტადიის არსი და მნიშვნელობა; პროკურორის საქმიანობა, საპროცესო მდგომარეობა და ფუნქციები გამოძიების სტადიაზე; სისხლისსამართლებრივი დევნის ცნება; დისკრეციული დევნის პრინციპები; პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელებაზე; გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის არსი პროკურორის, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელის ფუნქციები, მათი განხორციელების ფორმები და მეთოდები.

ამ სადისერტაციო კვლევის შედეგად ძირითადად გაირკვა, თუ რა სიახლეს შეიცავს ქართული პროკურორი, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი, რით განსხვავდება იგი ტრადიციული საპროკურორო ზედამხედველობისაგან, რა კავშირშია სისხლის სამართლის დევნა გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობასთან და სხვა. აქვე ავტორმა წარმოადგინა ზოგიერთი მოსაზრებები ამ მიმართულებით მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფასთან დაკავშირებით.

სადისერტაციო ნაშრომში ავტორის მიერ ჩამოყალიბებული და კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები, შედეგები, მოსაზრებები და წინადადებები შეიძლება გამოვიყენოთ კანონშემოქმედებით საქმიანობაში, გავითვალისწინოთ როგორც სისხლის სამართალწარმოების კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის, ასევე მთლიანად სისხლის საპროცესო სამართლის მეცნიერებაში, ასევე პრაქტიკული ხასიათის დასკვნები და წინადადებები შესაძლებელია კონკრეტულმა სამართალდამცავმა ორგანოებმა გამოიყენონ მათ პრაქტიკულ საქმიანობაში, ხოლო თეორიული დებულებები და რეკომენდაციები შესაბამისი იურიდიული სასწავლებლების მიერ სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაში.

რა თქმა უნდა, სადისერტაციო ნაშრომის თეორიულ ბაზას შეადგენს ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები, მაგრამ შეძლებისდაგვარად, გარკვეულად კონკრეტულ საკითხებზე ის გამდიდრებულია დისერტანტის პროკურატურის ორგანოებში საქმიანობის დროს მიღებული გამოცდილებით.

სადისერტაციო საკვლევ თემაზე ავტორს გამოქვეყნებული აქვს 2 წიგნი (რაც აღიარებულია სახელმძღვანელოდ საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლებისათვის) და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში ათამდე სამეცნიერო სტატია.

ამასთან, ის ფართო სამეცნიერო საქმიანობას ეწევა, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის აქტუალურ საკითხებზე გამოქვეყნებული აქვს ორმოცდაათამდე სამეცნიერო შრომა, მათ შორის შვიდი მონოგრაფია (წიგნი), აქედან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ორი სახელმძღვანელო, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში დაიბეჭდა ორმოცდახუთამდე სამეცნიერო სტატია, რესპუბლიკურ და ადგილობრივ პერიოდულ პრესაში და გამოცემებში სამოცამდე საგაზეთო სტატია, შენიშვნა-მოსაზრება და ინტერვიუ იურიდიული კანონმდებლობისა და სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკული საქმიანობის სრულყოფის საკითხებზე.

არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ორ ნაწილად გამოცემული სისხლის სამართლის პროცესის სახელმძღვანელოს თანაავტორი.

მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით გივი აბაშიძის სადისერტაციო ნაშრომი შეფასდა უმაღლესი ქულით — ფრიადზე და მიენიჭა დოქტორის აკადემიური ხარისხი.

ვუსურვებთ ბატონ გივი აბაშიძეს დოქტორის ხარისხის მინიჭებას და წარმატებებს ვუსურვებთ მომავალ სამეცნიერო საქმიანობაში.

მიხეილ მამნიაშვილი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

ადამ მახარაძე,
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესის და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

„ჩემი ლექსი პოეზიის ახალშენია“

შოთა ზოიძის დაბადებიდან 70 წლისთავის გამო

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქრისტიანული კულტურის კვლევის ცენტრის მიერ გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე ყოფნისას ჩემთან ბატონი შოთა ზოიძე მოვიდა, გვერდზე გამიყვანა და მითხრა:

— დიდი ხნის სულიერი მზადების შემდეგ გადავწყვიტე, დღეს მოვინათლო; მინდა, უკვე ნომინალურადაც გავხდე ქრისტიანი და გთხოვ, ჩემი ნათლია გახდეო.

ჩემთვის მოულოდნელი ამ სასიამოვნო ამბის შეტყობით აღელვებულმა, მეგობარ პოეტს, რა თქმა უნდა, უდიდესი სიხარულით უმალვე მივეცი თანხმობა; ოღონდ მსუბუქად ისიც ვუსაყვედურე, ასეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმას თუ აპირებდა, წინასწარ რატომ არაფერი გამაგებინა, საამისოდ მეც რომ მოვმზადებულიყავი.

— არ მინდოდა, დიდი ხმაური ამეტეხა და საქვეყნოდ გამომეცხადებინა, ამის გაკეთებას რომ ვაპირებდი! ამ ნაბიჯს ვინმეს ყურადღების მისაპყრობად და საკუთარი თავის წარმოსაჩენად კი არ ვდგამ, არამედ იმისთვის, ჩემი ცხოვრების სამომავლო გზა უკვე მონათლულმა და მირონცხებულმა რომ გავაგრძელოო.

ვინც ბატონი შოთას პოეტურ შემოქმედებასა და ესეისტიკას თუნდაც ზოგადადაც კი იცნობს, უსათუოდ დამეთანხმება იმაში, რომ ამ დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმით იგი მხოლოდ ფორმალურად აფორმებდა იმას, რასაც მთელი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში ემსახურება თავისი აქტიური მწერლური, მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობით.

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის, პროფესორ ბიჭიკო დიასამიძის თანხმობით, ბატონი შოთა, პროფესორი იური ბიბილეიშვილი და მე, როგორც პოეტის ერთადერთი ნათლია, ბათუმის მარიამ ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარში წავედით, სადაც ნათლობის პროცედურის აღსასრულებლად უკვე გველოდებოდა წინასწარ გაფრთხილებული მოძღვარი.

მართალია, შოთა ზოიძის, როგორც თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენლის, შემოქმედება ჩემთვის მანამდეც წარმოადგენდა განსაკუთრებული ინტერესის საგანს, მაგრამ ამ ამბის შემდეგ მის ნაწერებს უკვე სხვა თვალითაც შევხედე და კიდევ უფრო მეტად დავრწმუნდი იმაში, რომ ეროვნულ წიაღთან და ისტორიულ ფესვებთან ორგანულად შეზრდილ-შესისხლხორცებული ისეთი პოეტისათვის, როგორიც შოთა ზოიძეა, ზემოთ აღნიშნული ნაბიჯის გადადგმა მხოლოდ ფორმალობა გახლდათ. თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის არცერთ ეტაპზე იგი მოწყვეტილი არ ყოფილა საუკუნეთა მანძილზე ჩვენი ეროვნული ცნობიერების არსებითად განმსაზღვრელ იმ პრინციპებს, რომელთაც, პირველ ყოვლისა, სწორედ ქრისტიანული რელიგია უმკვიდრებდა ჩვენს წინაპრებს.

მიუხედავად იმისა, რომ შოთა ზოიძის მიერ წარმოსახულ საკითხთა სფერო მრავალმხრივიცაა და მრავალფეროვნიც, მის ყველა პოეტურ ნაწარმოებს ფაქტობრივად მაინც ერთი უმთავრესი ტკივილი მსჭვალავს თავიდან ბოლომდე ცნობიერადაც და ქვეცნობიერადაც — ქვეყნის საჭირბოროტო პრობლემათა განცდა-გააზრების წიაღიდან ამოზრდილი უღრმესი ადამიანური ტკივილი. პიროვნული და საზოგადოებრივი გრძნობები მის საუკეთესო ლექსებში ისე სისხლხორცეულადაა შერწყმული ერთმანეთთან, რომ მათ შორის გამმიჯნავი ზღვარის პოვნა თითქმის შეუძლებელიცაა.

ამ გარემოებას არსებითად განაპირობებს ის ფაქტი, რომ იგი ხშირად არამარტო თავისი, არამედ თამენდროვეების სახელითაც ესაუბრება მკითხველს. ასე რომ, შ. ზოიძის პოეზიის ლირიკული გმირის ადამიანური გრძნობები და მისწრაფებანი ფართოდ და სიღრმისეულად წარმოაჩენენ ჩვენი დროის ქართველი კაცის სულიერ სამყაროსა და საჭირბოროტო პრობლემათა ფართო სპექტრს. იმისათვის, რომ მკითხველს უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნას ავტორისეული სათქმელის უმთავრეს არსისა და მიზანსწრაფვის შესახებ, ვფიქრობ, თუნდაც ამ ლექსის („საქართველოს რუკასთან“) გახსენებაც იქნება საკმარისი:

„ვერ გამოვდექი კარგი მემკვიდრე,
ვერაგი მტერი გზვერავს მზაკვრულად,
დღემდე მეგონა, გულში მეკიდე,
თურმე ყოფილხარ ჯვარზე გაკრული.
ვერ მოუარე, ახლაც ვერ ვუვლი,რადგან ვერ ვუვლი
წარსულს სამცხესთან, ხვალეს მცხეთასთან,
და ვდგავარ შენთან ფერდაკარგული,
როგორც ძვირფასი დედის ცხედართან“.

ჩვენი ეროვნული პრობლემების ამგვარი პიროვნული თვითგანცდა შოთა ზოიძის პოეტური ინდივიდუალობის განმსაზღვრელი უმთავრესი თვისებაა. მაგალითად, როცა პოეტი ამბობს: „მე ქართლის ჭირი გულზე ლოდივით მადევსო,“ — ამით იგი სხვათაგან მის პიროვნულ გამორჩეულობასა და განსაკუთრებულობას კი არ უსვამს ხაზს, არამედ იმავდროულად იმ ადამიანთა სულიერი შეჭირვების განმაპირობებელი უმთავრესი მიზეზის გამოხატვასაც ცდილობს განზოგადებული ფორმით, რომლებიც ჩვენი ქვეყნის საჭირბოროტო ეროვნული პრობლემებით არიან შეძრწუნებულნი.

შოთა ზოიძის პოეზიის ლირიკული გმირი ხშირად წუხს იმის გამო, რომ ქართველთა წინაშე საუკუნეების მანძილზე უმწვავესი ფორმით მდგარი პრობლემა ეროვნული თავისთავადობის დაცვისა და ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მთლიანობის შენარჩუნებისა კვლავაც აქტუალურია და უპირველესი საქვეყნო საზრუნავია. ამ საჭირბოროტო პრობლემის სიღრმისეულ განსჯა-გაანალიზებას პოეტი ზოგჯერ ასეთი სასოწარმკვეთი დასკვნის გამოტანამდეც კი მიჰყავს: „ვერ გავიგე, წლები გვაკლდება თუ გვემატება, სადარდელზე კიდევ სადარდელი გვემატება, სიძულვილის ზღვაში სიყვარული გვენატრება, საკუთარ სამშობლოში სამშობლო გვენატრება, საქართველოში ვართ — საქართველო გვენატრება!“

საქართველოშივე დაკარგული საქართველოს ძიებისა და ვერმიგნების ეს პოეტური მეტაფორა შოთა ზოიძის სხვა ლექსებშიც ხშირად მეორდება ხოლმე სხვადასხვაგვარი აზრობრივი ვარიაციით. მაგალითად, ლექსში „დაკარგული ქვეყანა“ ეს უმძაფრესი ეროვნული ტკივილი პოეტმა ცნობილი ხალხური ლექსის — „პატარა გოგო დამეკარგა, წითელპერანგას“ თავისებური ინტერპრეტაციის გზით შემდეგნაირად გამოხატა:

„ტელეარხებით მოგვეძალა მტერი ვერაგი,
სატელიტური ანტენებით, ჭრელი პერანგით,
ჯინსით, შორტებით, ნარკობიზნესარქიპელაგით,
შიდსის, სიკვდილის უჩინარი ცელით ვერაგით,
მე საქართველო დამეკარგა, ქრისტესპერანგა.
მე რუსთაველი დამეკარგა, მგოსანთ მგოსანი,
გურამიშვილი დამეკარგა, დიდი მგოსანი,
დედა თამარი დამეკარგა, გვირგვინოსანი,
ავთანდილივით ვეძებ ყველას, უფლის მოსვლამდის,
მე საქართველო დამეკარგა, ქრისტესპერანგა“.

ასე ღრმაზრობრივად და ეროვნული მუხტის გასამძაფრებლად ცოცხლდებიან პოეტის ცნობიერებაში იმ დიდ მამულიშვილთა ფრაგმენტული სახეები, რომელთაც საქართველო საუკუნეთა მანძილზე ჟამთასვლის სისხლიან ქარტეხილებში გამოატარეს და დღემდე მოიყვანეს. მათი საქვეყნო ღვაწლის ამგვარი ხაზგასმითა და გახსენებით შოთა ზოიძის პოეზიის ლირიკული გმირი კიდევ უფრო მეტი სიმძაფრითა და ტრაგიზმით განიცდის იმ ფაქტს, რომ ჩვენი ისტორიული წარსულის უპირველეს პრობლემად ქცეული ეს დიდი ტკივილი დღესაც ძველებურად აქტუალურია და შაგრენის ტყავივით დაპატარავებული საქართველოს წინაშე კვლავაც უმწვავესი ფორმით დგას ეროვნულ-ტერიტორიული მთლიანობის გადარჩენისა და შენარჩუნების პრობლემა.

ამ პრობლემის სიღრმისეული განსჯა-გაანალიზება შოთა ზოიძემ სისხლხორცეულად დაუკავშირა ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში განვითარებულ ტრაგიკულ მოვლენებს.

აღნიშნული თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ლირიკული პოემა „წითელი თოვლი,“ რომელშიც პოეტმა ჩვენი ქვეყნის ისტორიულ წარსულთან განზოგადებულად მისადაგებული ფორმით გაიაზრა ის უმძიმესი მდგომარეობა, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებში შეიქმნა საქართველოში ჩვენივე უგნურებისა და წინდაუხედაობის შედეგად. პოეტის შეფასებით, ეს ყველაფერი უპირველეს ყოვლისა იმ სამწუხარო რეალობის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენდა, „დასაბამიდან თვითგადარჩენის თოკზე დაკიდებულ“ ქართველ კაცს მაშინ „მამულის მოვლის ნიჭი რომ არ ეყო.“

ნაცვლად ქვეყნის გადარჩენის სამომავლო გზათა აქტიური ძიებისა, ერთმანეთის მტრობით გონებადაბნელებული ქართველები იმ საბედისწერო პერიოდში კიდევ ერთხელ დაერივნენ ერთიმეორეს უმოწყალოდ და მოძმეთა სისხლით მორწყეს მრავალტანჯული ქართული მიწა.

გონდაკარგული ქართველი ქართველს
ღმერთის ნაჩუქარ სიცოცხლეს ართმევს,
რუსთველის ქუჩა დიდი და ფართო
იწვის და ღამეს ხანძარში ათევს.
იწვის თბილისი, ბრაზდება ღამე,
ცეცხლის ენები ისვრიან ჩრდილებს,
რა ვუპასუხოთ შვილებმა მამებს,
ანდა პირიქით — მამებმა შვილებს?!

ქართველთა შორის გაჩაღებული ამ ძმათამკვლელი ომის ტრაგიკული შედეგების განმსჯელ-შემფასებელი პოეტი უღრმეს მწუხარებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ამ სამარცხვინო ომის სისხლიან მორევში ჩათრეულ ქართველთა ცნობიერებაში საბედისწეროდ აღმოჩნდა დათრგუნული ჩვენი გმირი წინაპრების სიცოცხლის აზრად და რწმენად დამკვიდრებული „ნიჭი მამულის მოვლისა.“ მათგან განსხვავებით, ახალი დროის ამ ვანდალებმა „ერის დიდება ისე შემუსრეს, შემოგვრჩა მხოლოდ ფუჭი ოცნება, აღარც ქართული სინდის-ნამუსი, აღარც ბაჯაღლო პატიოსნება.“

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქვე ისიც მინდა აღვნიშნო, რომ შოთა ზოიძე ჩვენი უახლესი ისტორიის ამ ტრაგიკულ მოვლენას მხოლოდ ლოკალურად არ იაზრებს და ჩვენი წარსულის მსგავს სისხლიან მოვლენებთან მისი დაკავშირებით კიდევ უფრო მეტი სიმძაფრითა და შთამბეჭდაობით შეგვახსენებს იმ სამჭუხარო ჭეშმარიტებას, რომ „წიწამურში ნასროლი ტყვია საქართველოში დღესაც ზუზუნებს.“

როგორც მკითხველი დამოწმებული მაგალითებითაც დაინახავს, შოთა ზოიძე პოეტური კულტურის დახვეწილობითა და რაფინირებით გამორჩეული შემოქმედია, რიტმულ-მუსიკალურად მელოდიური ლექსების ავტორი, რომელიც პირველ ყოვლისა ლიტერატურული ტრადიციების წიაღში ცდილობს მოძებნოს მოვლენათა ინდივიდუალური აღქმა-წარმოსახვისა და სათქმელის პოეტური გამოხატვის ინდივიდუალური გზა.

საკუთარი პოეტური შემოქმედება შოთა ზოიძემ ერთგან შემდეგნაირად შეაფასა: „ჩემი ლექსი პოეზიის ახალშენია.“ მხატვრული თავისთავადობითა და მოვლენათა აღქმა-წარმოსახვის ინდივიდუალობით გამორჩეულმა ამ „პოეტურმა ახალშენმა“ შოთა ზოიძეს სავსებით სამართლიანად დაუმკვიდრა ნიჭიერი და წარმატებული პოეტის სახელი თანამედროვე ქართულ პოეზიაში. თავისი ცხოვრების საიუბილეო, სამოცდამეათე წლისთავს მიგებებული ავტორი კვლავაც წარმატებით განაგრძობს აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას და ახალ-ახალი ლექსებით ამდიდრებს მის „პოეტურ ახალშენს.“

ღმერთმა ქნას შემოქმედებითი ენერგიის ესოდენ წარმატებულად წარმომჩენი პოეტური შთაგონება და შინაგანი ცეცხლი რაც შეიძლება დიდხანს არ მიმცხრალიყოს ჩვენი ბათუმელი ძმისა და კოლეგის გულში!

2011 წლის 19 დეკემბერი

საერთაშორისო პროექტი — „დიგიტალიზებული თარგმნილი პოლიტიკური კორპუსი“

←—გვ. 1

USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST·WEST MANAGEMENT INSTITUTE

Policy, Advocacy, and Civil Society Development in Georgia (G-PAC)

საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში

პროექტის შემდგომ ეტაპზე შესაძლებელი იქნება თარგმნილი კორპუსის დიგიტალიზაცია და ორიგინალისა და თარგმანების პარალელური ტექსტის სამეცნიერო დამუშავება — საძიებო სისტემის აღჭურვა პარალელური ბმულების გამოყენებით. **http://titus.uni-frankfurt.de/indexe.htm**

უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული შეიქმნა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმართვისა და სასწავლო პროცესში მონაწილეობის მისაღებად.

(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №1106 2007 წლის 14 ნოემბერი ქ. თბილისი საჯარო სამართლის იურიდიული პირის — შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ თავი V 1 (1 4. 03.2011 39/ნ) (მუხლი 241).

თარგმანის კორპუსისა და ინტერდისციპლინური კვლევების საკოორდინაციო საბჭოს მიზანია განახორციელოს სამეცნიერო-კვლევითი და საკონსულტაციო საქმიანობა, ხელი შეუწყოს ახალი ტექნოლოგიების შექმნას, დანერგვასა და საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარებას რუსთაველის უნივერსიტეტში.

საბჭოს პრიორიტეტული მიმართულებაა სამეცნიერო ლიტერატურის თარგმანის კორპუსის შექმნა სასწავლო პროცესის ინტერნაციონალიზაციისა და ელექტრონული სწავლების განსახორციელებლად.

შოთა რუსთაველის სახელწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ბატონი ალ. ბაკურიძე და რუსთაველის უნივერსიტეტთან არსებული თარგმანისა და ინტერდისციპლინარული კვლევების ცენტრის მეცნიერები მიწვეული იყვნენ ქართული ენის ეროვნული კორპუსის საკოორდინაციო საბჭოს საპრეზენტაციო სესიაზე, რომელიც გაიმართა 2011წ. 22 სექტემბერს თბილისში, ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

სესია მიზნად ისახავდა სამეცნიერო ჯგუფების მიერ საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ არსებული ენობრივი რესურსები (ტექსტურ მონაცემთა ელექტრონული ბაზები, ანალიზისა და სინთეზის, აგრეთვე სხვა პროგრამული პროდუქტების შეჯამებას); აგრეთვე ამ რესურსების გაერთიანებასა და კოორდინირებას ქართული ენის ეროვნულ კორპუსში ინტეგრაციის მიზნით. სესიაზე წარმოდგენილი იყვნენ ის სამეცნიერო ორგანიზაციები (როგორ სახელმწიფო, ისე არასამთავრობო), რომლებიც წლების მანძილზე იღვწიან ქართული ენის თანამედროვე ტექნოლოგიებით დამუშავების თეორიული და ინსტრუმენტული ბაზის შესაქმნელად. საპრეზენტაციო სესიაზე ასევე იყვნენ მოწვეული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ივ. ჯავახიშვილისა და ილიას უნივერსიტეტის რექტორები, შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის წარმომადგენლები, შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუციები.

რა არის სამეცნიერო ლიტერატურის თარგმანის კორპუსი?

სამეცნიერო ლიტერატურის თარგმანის კორპუსი ითვალისწინებს სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი ქართულად თარგმნილი სამეცნიერო ლიტერატურისა და ორიგინალის პარალელური კორპუსების შექმნას, რომელიც აღჭურვილი იქნება საძიებო სისტემით, რაც გააადვილებს სამეცნიერო ტერმინოლოგიის უცხო ენაზე ათვისებას და საშუალებას მისცემს ამ ელექტრონული ბაზის მომხმარებელს (როგორც სტუდენტებს, ისე მეცნიერებს) ორიგინალის ენაზე გაეცნოს სამეცნიერო ლიტერატურას თავის სპეციალობაში და გაუადვილებს ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართვას.

ენის კორპუსი, რომელსაც ლინგვისტები და პროგრამისტები ერთად ქმნიან, ზოგადად წარმოადგენს ელექტრონულ ფორმატში მომზადებულ და მოწოდებულ აწყობილ ტექსტურ მასივებს (კოლექციებს), ადაპტირებულს სამეცნიერო კვლევებისათვის, რასაც ტექნოლოგიური თვალსაზრისით საინფორმაციო საძიებო სისტემა უზრუნველყოფს. ენის კორპუსი, პირველ რიგში, წარმოადგენს ლინგვისტური კვლევის ინსტრუმენტს, მაგრამ მიმოქცევაში დამკვიდრების შემდეგ სცდება ლინგვისტიკის ვიწრო პროფესიულ ჩარჩოებს და მისი მასალები თავად იქცევა საკვლევ ობიექტად სხვადასხვა ჰუმანიტარული მეცნიერებისათვის. ასე იქმნება კორპუსზე ორიენტირებული გამოკვლევები ფოლკლორში, ეთნოგრაფიაში, ანთროპოლოგიაში, სოციოლოგიაში, მშობლიური და უცხო ენების სწავლების, მთარგმნელობით და სხვა დარგებში (http://www.nplg.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=199&info_id=1927

შოთა რუსთაველის სახელმწოფო უნივერსიტეტისთვის პროექტის მნიშვნელობის შესახებ უშუალოდ პროექტში მონაწილე, ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის დირექტორი, პროფესორი ლელა თურმანიძე საუბრობს:

„2011 წლის ნოემბერში, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის „საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების“ (G-PAC) ფარგლებში, დაფინანსდა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი პროექტი — „დიგიტალიზებული თარგმნილი პოლიტიკური კორპუსი“, პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

პროექტზე მუშაობისას ჩვენმა უნივერსიტეტმა შეიძინა ახალი საქმიანი პარტნიორები, მასში ჩვენს თანამშრომლებთან ერთად ჩართული არიან ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის პროფესორები იოსტ გიპერტი და მანანა თანდაშვილი. აღნიშნულ უნივერსიტეტსა და რსუ-ს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ფრანკფურტის უნივერსიტეტისგან გადმოგვეცეს პროგრამული პროდუქტი, რომელიც განკუთვნილია სხვადასხვა ხასიათის ეთნოგრაფიულ-ლინგვისტური დამუშავების, სტანდარტიზაციის და მათი მონაცემთა ბაზაში გადაგზავნისთვის, რაც თავისთავად გაამდიდრებს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ელექტრონულ რესურსებს. პროექტი ითვალისწინებს უმაღლესი განათლების სფეროში თანამედროვე და აქტუალური ლიტერატურის თარგმნას, რაც საშუალებას მისცემს ჩვენს სტუდენტ-ახალგაზრდობას და სხვა დაინტერესებულ პირებს, შეადაროს ევროპული და ამერიკული განათლების სისტემები, უმაღლესი განათლების სფეროში დამკვიდრებული ტერმინები. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია გარკვეული ლიტერატურის შეძენა, რაც უნივერსიტეტის რესურსებს შეემატება.

პროექტით გათვალისწინებულია კონფერენციის ჩატარება, სადაც პროექტის შედეგებს წარვადგენთ და კონფერენციას ჩვენი ბიბლიოთეკა უმასპინძლებს. კორპუსის ტექნიკური მხარის გასაცნობად გათვალისწინებულია აგრეთვე ტრენინგები პროფესორების, მკვლევრებისა და სტუდენტებისათვის“.

ხათუნა ბერიძე,
პროექტის მენეჯერი

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ვიზიტი

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი პაპუნა დავითაია და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ალიოშა ბაკურიძე თურქ სტუდენტებს შეხვდნენ. უწყების პირველი პირი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთობლივი პროგრამის „ისწავლე საქართველოში“ ფარგლებში ჩარიცხულ სტუდენტებს სასწავლო პროცესზე, ცხოვრების პირობებზე, სოციალურ საკითხებსა და სხვა აქტუალურ თემებზე ესაუბრა. პროგრამას 2010 წლიდან თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველებისთვის დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტები ახორციელებენ. სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობს და თითოეული სტუდენტის სწავლა სახელმწიფო სასწავლო გრანტით ფინანსდება.

ძეგლებისა და ისტორიული ადგილების საერთაშორისო დღე

ძეგლებისა და ისტორიული ადგილების საერთაშორისო დღეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები კვირეულით აღნიშნავენ. ახალგაზრდებმა აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად პეტრას ციხის დასუფთავების აქციაში მიიღეს მონაწილეობა. კვირეულის ფარგლებში ასევე იგეგმება სტუდენტური კონფერენციისა და ესსეს კონკურსის ჩატარება, არქეოლოგიურ და მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში სასწავლო-შემეცნებითი ტურის მოწყობა, სხვა ისტორიული ძეგლებისა და ეკლესიების დასუფთავება. ძეგლებისა და ისტორიული ადგილების საერთაშორისო დღე 1983 წელს იუნესკოსა და იკომოსის გადაწყვეტილებით დაწესდა.

წაბლანაში ტრაგედიის შედეგად დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ, პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა პატივი მიაგეს 1989 წლის 19 აპრილს მაღალმთიან აჭარაში მეწყერის შედეგად დაღუპულთა ხსოვნას. აჭარის ადგილობრივი ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად სოფელ წაბლანაში დატრიალებული ტრაგედია გაიხსენეს და 6 მაისის პარკში მდებარე მემორიალი ყვავილებით შეამკეს. 23 წლის წინ სტიქიურ უბედურებას 23 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

სტილთა აღრევა და აკადემიური წერის სწავლების აუცილებლობა

სტილთა აღრევა და აკადემიური წერის სწავლების აუცილებლობა **ფუნქციური** სტილის ცნება, ანუ სტილთა დიფერენციაცია თანამედროვე სტილისტიკის აქტუალური საკითხია. მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აკადემიური წერის კურსშიც. ამ დისციპლინაში დამოუკიდებელი, არგუმენტირებული მსჯელობის უნარის ჩამოყალიბებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმასაც, თუ როგორ შევარჩიოთ შესაბამისი ენობრივი სტილი. სიტყვა ფუნქციური დანიშნულებითს თნშნავს. ამ სიტყვას ორი მნიშვნელობა აქვს: ერთი მომდინარეობს ფუნქციისგან, მეორე ფუნქციონირებას უკავშირდება. ტექსტის სტილი განისაზღვრება კონკრეტული სიტუაციის, ადრესატის ასაკის, განათლების, ფონური ცოდნის, სოციალური სტატუსის, ინტერესთა სფეროს გათვალისწინებით.

არისტოტელე „რიტორიკაში“ ხაზგასმით მიუთითებდა იმაზე, რომ სტილი „არ უნდა იყოს არც ამაღლებული, არც მდაბალი, არამედ მიზანშეწონილი: „შეუფერებელია, როცა მონა ლამაზი სიტყვებით ლაპარაკობს უმნიშვნელო საგნებზე. მსმენელს ეგონება ორატორს ჩემი მოტყუება სურს, როგორც მეღვინეს შერეული ღვინითო. თუ ალისფერი წამოსასხამი უხდება ახალგაზრდას, მაშინ რაღა შეჰფერის მოხუცს? მათ ხომ ერთნაირი ტანსაცმელი არ უხდებათ. როცა ვინმე გინდა შეამკო, უნდა შეადარო იმავე გვარში საუკეთესოს, მაგრამ როცა გინდა აძაგო, მაშინ უარესს უნდა შეადარო“. კარგი სტილის სიტყვა ან ნაწარმოები მიზანშეწონილი, ე.ი. საგნის შესაბამისი უნდა იყოს“, - ასკვნიდა ორატორი.

ქართული ენის ფუნქციური მრავალფეროვნება მის მრავალპლანიანობას უკავშირდება: „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მრავალპლანიანობა და პოლიფუნქციონალურობა თავისთავად განაპირობებს მის მრავალმხრივ ფუნქციონალურ და სტილისტიკურ განტოტებას. სალიტერატურო ენის ფუნქციების ამგვარი დიფერენციაცია შეპირობებულია იმ რთული და არაერთგვაროვანი ამოცანებით, რასაც ის სრულიად განსხვავებულ პროფესიულ სფეროებში სხვადასხვა დროს ასრულებს. სწორედ ფუნქციონალური არეების გაფართოება და გართულება იწვევს სალიტერატურო ენის გამოკვეთილ სტილისტიკურ დიფერენციაციას. რაც უფრო განვითარებული და პოლივალენტოვანია სალიტერატურო ენა, მით უფრო გამოკვეთილი და ჩამოყალიბებულია მისი ფუნქციონირების არეები“ - წერს ა. არაბული.

ფუნქციური სტილები წარმოშვა საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნებმა, მისმა მრავალმხრივმა განვითარებამ. მრავალსაუკუნოვანი ქართული სალიტერატურო ენის როლს უჩვეულოდ ზრდის საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების მრავალმხრივი განვითარება და მისი დახვეწა საზოგადოებისა და ცალკეული ადამიანის მეტყველების კულტურის ამოცანაა (კვარაცხელია).

სტილის სახეობებზე საუბრისას, ჩვეულებრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მათ განმასხვავებელ ნიშნებს, იმ სპეციფიკას, რაც მათ ავტონომიურობას ანიჭებს, რაც მათ თავისთავადობას ქმნის. ამავე დროს მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ მათ შორის **ჩინური კედელი** არ არსებობს, ჯერ ერთი, საერთოა ენობრივი რესურსები, მეორეც, თითქმის არ არსებობს ისეთი ენობრივი ნიშანი ან საშუალება, რომელიც მხოლოდ ერთ რომელიმეში გვხვდება და არ გამოიყენება მეორეში. ერთი და იგივე ნიშანი შეილება შეგვგხვდეს რამდენიმე სტილში, მაგრამ ერთისთვის ნიშანდობლივი იყოს იგი, მეორისთვის — აუცილებელი. მაგ.: ლოგიკურობა გვხვდება სამეცნიერო სტილშიც და ოფიციალურ-საქმიანშიც. პირველისთვის იგი აუცილებელი ნიშანია, სავალდებულოა მეორისთვისაც, სასაუბრო სტილში კი სასურველია, თუმცა არაა ძალიან აუცილებელი. სიზუსტე და ლაკონიურობა არის სამეცნიერო სტილის ნიშანიც, ოფიციალურ-საქმიანისაც და მხატვრული ლიტერატურისაც, მაგრამ ამ უკანასკნელში მას სრულიად განსხვავებულ ფუნქციას ასრულებს. სტილთა განსხვავებული ნიშნები მათი დანაწევრების საშუალებას იძლევა.

მოკლედ, სტილთაშორისი საზღვრები მოძრავია, ზოგჯერ ერთი სტილის ნიშნები მეორდება მეორეში, მაგრამ ეს ნიშნები ერთი სტილისთვის დომინანტურია, მეორისთვის — არა. ერთი და იგივე ნიშანი გადადის სხვადასხვა სტილში, მაგრამ ავლენს ღრმა თავისებურებას, იძენს სტილისტიკურ ფუნქციას. თუ მას ეს ფუნქცია არ აკისრია, მაშინ იგი **გადახრად** მიიჩნევა. სტილთაშორისი საზღვრების აღრევა, დაუცველობა თანამედროვეობის მეტად აქტუალური პრობლემაა. მრავალსტილიანობა აზრს გაუგებარს ხდის — ხაზგასმით აღნიშნავდა არისტოტელე და საგანგებოდ მსჯელობდა სტილთა დიფერენციაციის საკითხის შესახებ: „ახლაც ბევრ გაუნათლებელ ადამიანს ჰგონია, რომ პოეტები ლამაზად ლაპარაკობენ. სინამდვილეში კი ეს ასე არაა, რადგან სრულიად განსხვავებულია ჩვეულებრივი სალაპარაკო და პოეზიის სტილი. „ყოველ გვარში იხმარება ამ გვარისთვის დამახასიათებელი სტილი, რადგან ერთი და იგივე არაა წერილობითი და საკამათო, სამოსამართლო და საჯარო სიტყვები. პირველი გულიხმობს ბერძნული ენის კარგ ცოდნას, მეორე კი იმას, რომ არ იყო იძულებული სდუმდე მაშინ, როცა გინდა ვინმეს რაიმე უთხრა. საჯარო სიტყვა ფერწერას ჰგავს, სადაც შუქ-ჩრდილია გამოყენებული. სამოსამართლო უფრო ზუსტია, მიმართულია ერთი მოსამართლისადმი, მასში ნაკლებად არის გამოყენებული ორატორული ხერხები“ (იქვე, 168).

სტილის ხუთი სახეობა არსებობს: სამეცნიერო; ოფიციალურ-საქმიანი; პუბლიცისტური; მხატვრული ლიტერატურის, სასაუბრო. მხატვრული ლიტერატურის ენას სტილთა სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მხატვრული მიზნებით შეიძლება გამოიყენებოდეს არა ცალკეული ელემენტები, არამედ სხვა სტილთა მთლიანი ფრაგმენტები, ასევე არალიტერატურული სიტყვები და გამოთქმებიც: ჟარგონიზმები, ვულგარიზმები და დიალექტიზმები.

სტილთაშორის ურთიერთობებს ადარებენ სალიტერატურო ენისა და დიალექტების მიმართებასაც: ერთი დიალექტის გადასვლა მეორეში იმდენად მრავალფეროვანია და მათი საზღვრები გამოუკვეთელია, რომ შეუძლებელია საუბარი მათი არსებობის ქართულ სალიტერატურო ენას ფუნქციურ სტილთა სრულყოფილი, კარგად განვითარებული სისტემა აქვს. თითოეული მათგანი ემსახურება საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროს: მეცნიერებას- სამეცნიერო სტილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ სფეროს — ოფიციალურ-საქმიანი, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას-პუბლიცისტური, ყოფით ურთიერთობებს- სასაუბრო. სტილის ცალკეული სახეობა ფუნქციონირებს საზოგადოებრივი მოღვაწეობის განსაზღვრულ სფეროში, ისინი შედარებით ჩაკეტილ სისტემებს ქმნიან. ამათგან განსხვავებით, მხატვრული ლიტერატურის სტილი არ უკავშირდება ადამიანის პრაქტიკულ მოღვაწეობას, იგი რეალიზდება ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში, აკისრია ესთეტიკური ფუნქცია და არც ჩაკეტილ სისტემას ქმნის. თუ სტილის დანარჩენი სახეობების გამოყოფის საფუძველი ადამიანის საქმიანობის პრაქტიკული სფეროებია, ეს უკანასკნელი ენის შემოქმედებით, მხატვრულ რეალიზებას უკავშირდება.

მაშასადამე, ცალკეულ სტილს ახასიათებს ენობრივ საშუალებათა განსაკუთრებული სისტემა.

ყველა სტილისათვის საერთოა რამდენიმე ნიშანი: გამართული მეტყველებისა და სწორი წერისათვის აუცილებელ ნიშანთა ერთობლიობა: 1) **აზრის გამოხატვის სისწორე** — წინადადებაში აზრის გამოსახატავად საჭირო სიტყვები შინაარსობრივად და გრამატიკულად სწორად უკავშირდება ერთმანეთს; 2) **მეტყველების სიზუსტე** — მეტყველება ზუსტია თუ ორაზროვნებისა და გაუგებრობისაგან დაზღვეულია; 3) **მეტყველების მკაფიოობა**; 4. **ლაკონიურობა** (ყველაზე მიზანშეწონილია ზომიერი სიტყვა: სათქმელი უნდა იყოს მოკლე და ტევადი; 5) **სიწმინდე (ნორმატიულობა)**. უნდა დავიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები, არ გამოვიყენოთ ბარბარიზმები, დიალექტიზმები, ჟარგონიზმები, კალკები; 6) **ბუნებრიობა** (გამოვიყენოთ მოცემული ენისთვის ნიშანდობლივი თქმები); 7) **სიტყვათა წყობა**.

ყოველ სტილს გარდა საერთო ნიშნებისა, მოეპოვება **სპეციფიკური მახასიათებლები** - საგანგებოდ შერჩეული ენობრივი შესაძლებლობები. ერთი ენობრივი სტილის ნიშნები შეიძლება განმეორდეს სხვა ენობრივ სტილში, მაგრამ განმეორებისას ისინი, ჩვეულებრივ, ყოველთვის იძენენ სხვა ფუნქციებს, ამიტომ თუ მათ რაღაც განსაკუთრებული ფუნქცია არ ეკისრებათ, არ უნდა გამოვიყენოთ, ამით დავიცავთ სტილთაშორის საზღვრებს, რაც ზოგადსაკაცობრიო, და ამასთან, მეტად აქტუალური პრობლემაა.

სალიტერატურო ენისა და ცოცხალი მეტყველების, წიგნური და სასაუბრო სტილის, მხატვრულისა და სამეცნიეროს გაუდიფერენცირებლობა ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროს გავლენის შედეგია. ენობრივი სტილი ისტორიულად ვითარდება და იცვლება, მაგრამ ისე არა, რომ სხვა სტილს შეერიოს. თუ დავაკვირდებით, ძნელი შესამჩნევი არაა, საგაზეთო სტატიებში ფამილიარული (შინაურული და გაუბრალოებული) მეტყველების ნიმუშების, თუნდაც ჟარგონიზმების გამოყენება. ამაზე საგანგებოდ მიუთითებს ა. არაბული: „თანამედროვე სალიტერატურო ენის უახლესი ტენდენციები სწორედ ამ მიმართულებით წარიმართა. ამას შიდა პროცესებთან ერთად დასავლური, ე. წ. მასკულტურის ფართოდ შემოჭრამაც შეუწყო ხელი. ენის ვულგარიზაციის აღნიშნულმა ტენდენციამ, ოფიციალური ურთიერთობების ფამილიარიზაციამ არა მხოლოდ სახელისუფლებო, საპარლამენტო და სატელევიზიო მეტყველებაში იჩინა თავი, არამედ ცენტრალური გაზეთების ისეთ პუბლიკაციებშიც გამომჟღავნდა, რომლებიც ოფიციალურ-საქმიანი სტილის ჩარჩოებში უნდა თავსდებოდნენ: „თორემზე ვიჭედებით“; „დაბრო მისცა“, უთვალავჯერ გაუიასნეს, თუ ვინ უნდა მოხვდეს მომავალ პარლამენტში და სხვა მრავალი...

ჟარგონული მეტყველებისთვის დამახასიათებელია ლექსიკის გაღარიბება, ბარბარიზმების მოძალება, აკვიატებული ფრაზეოლოგიის გაბატონება. გაიფართოვა ასპარეზი სიტყვა „პრობლემამ“. იგი ყოველგვარი დაბრკოლების, სიძნელის შეფერხების გამოსახატავად გამოიყენება... ასეთი ტენდენციები არა მხოლოდ აღარიბებს სალიტერატურო ენას, არამედ საფუძვლიანად არღვევს უკვე განმტკიცებულ ენობრივ სისტემას, ქმნის სერიოზულ საფრთხეს, საერთოდ დაუკარგოს სახე საუკუნეთა განმავლობაში ერთ-ერთ მთავარ კულტურულ მემკვიდრეობას.

თანამედროვე ქართულ პრესაში თითქმის ნორმად იქცა ჟურნალისტმა წეროს ისე, როგორც მეტყველებს. ოპერატიულობიდან გამომდინარე ჟურნალისტები თავს უფლებას აძლევენ ნებდლი ენობრივად მასალა მოგვაწოდონ, რითაც იმაზე მეტს აშავებენ, ვიდრე ჰგონიათ. უკანასკნელ ხანს ნაკლები ყურადღება ექცევა იმას, რომ სიტყვებს ლექსიკონში ახლავს სპეციალური აღნიშვნები: მოძველებული, საუბრული, ირონიული და ა. შ. სხარტი და დინამიკური თხრობის მისაღწევად პუბლიცისტურ სტილში ხშირად გამოიყენება ბარბარიზმები, ვულგარიზმები, ჟარგონიზმები: მაგალითად:

„ისეთი ფილმი არ უნდა გადაიღო, რომელიც „ჩერნუხაშიძძ გადავა და გამოუვალობის შეგრძნებას დაუტოვებს ადამიანებს“;

„ქალაქში მოდნიცები არ გვყავს“ (გამოყენებულია სათაურად);

„გამოფენის მთავარი მუღამი ის იყო, რომ ნამუშევრები უახლოესი ორი წლის განმავლობაში უნდა ყოფილიყო შექმნილი“;

„ეგებ ინტუიციით, სმენით ან რაღაც ზებუნებრივი მკითხველური სენსორებით მაინც მიგვეხვეედრებინა მკითხველი, რომ მაგარ ტექსტებს ვკითხულობთ“;

„გოგა ხაჩიძე ყველაზე მაგარი მინისტრია“;

„ცხელი წიგნები სახლში მიტანით“;

„სულ ეშპილკავება ამ ბიჭს“;

დამახინჯებულია თვით მყარი გამოთქმებიც კი:

„ეს ოლიმპიური ჩემპიონი პარლამენტში არცერთ ჩხუბს არ მოჰკლებია“;

„ამ საქმის აინუნში არ არის“ (უნდა იყოს ბაიბურში არ არის);

„მას ბაიბურშიც არ აგდებს“ (უნდა იყოს აინუნში არ აგდებს)

„ამ ქვეყანამ ერთ- ერთმა გაუწია დახმარების ხელი ჩვენს ქვეყანას“. უნდა იყოს: დახმარება გაუწია ან დახმარების ხელი გაუწოდა).

აქვე გვხვდება სასაუბრო ენისთვის დამახასიათებელი სამეტყველო საშუალებების ეკონომია. საუბარში მსაზღვრელ-საზღვრული იშვიათადაა წარმოდგენილი სრულად, საზღვრული ხშირადაა გამოტოვებული. მაგ.: დიპლომი - სადიპლომო შრომა, დეკრეტი-სადეკრეტო შვებულება; ჩაბარება-უნივერსიტეტში ჩაბარება, დამთავრება — უნივერსიტეტის დამთავრება, მოხსნა — სამსახურიდან გათავისუფლება. მიუხედავად წვრის გამოტოვებისა, გაგებინება არ ჭირს. ამ სტილის სინტაქსი ემყარება სიტყვათა ლექსიკურ მნიშვნელობას.ზოგჯერ გამოტოვებულია წევრი, მაგრამ მის მაგივრობას ეწევა სუფიქსი, რომელიც ხშირად არაქართულია. მაგ. მარშრუტკა (ნაცვლად სამარშრუტო ტაქსისა), გაზიროვკა (ნაცვლად გაზიანი სასმელისა). ამავე სტილში ვხვდებით სიტყვათა გამოტოვების სხვა შემთხვევებსაც: მაგ.: რუსთაველზე ვცხოვრობ (რუსთაველის გამზირზე ვცხოვრობ); ვაჟაზე დაგელოდებით (ვაჟა-ფშაველას გამზირზე დაგელოდებით); მათემატიკა მოდის (მათემატიკის მასწავლებელი მოდის); მათემატიკა გაგვიცდა (მათემატიკის გაკვეთილი გაგვიცდა).

უკანასკნელი მაგალითებიდან ჩანს, რომ გამოტოვებულია სხვადასხვა წევრი, მაგრამ ეს სულაც არ უშლის ხელს გაგებინებას, თუმცა ასეთი ფორმების გამოყენება შეცდომაა პუბლიცისტურ სტილში, იგი მწიგნობრული და სასაუბრო სტილის აღრევას წარმოადგენს: „თანამედროვე მწერლები გადავიკითხე“, „ამ ჟურნალში ახალბედა მწერლებს ბეჭდავენ“; „მოზრდილი ირეალურში დარჩება“; „ხელოვნების მენეჯმენტზე აბარებს თბილისში“; „მე ამაზე აღარ გავივრცობი“ ... ამავე სტილში გვხვდება ხელოვნური ექსპრესები: „დაალაიქა“, „ დააქოლინგა“, „დაასტატუსა“, „დაგოსტა“ ....

იკვეთება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია: ერთი მხრივ სათქმელი გართულებული და „გამეცნიერებულია“, მეორე მხრივ, გაუბრალოებული, ზედმეტად დაახლოებული სასაუბრო ენასთან, რაც, სამწუხაროდ, დაბალი წიგნიერების მაჩვენებელია. სტილთა აღრევად ითვლება საკუთრივ სამეცნიერო სტილის ნაშრომის გაზეთში დაბეჭდვაც. იგი აუცილებლად უნდა განიტვირთოს სპეციფიკური ტერმინებისგან, ენა გახდეს საყოველთაო, სხვანაირად ვერ დააკმაყოფილებს სამეცნიერო-პოპულარული სტილის მოთხოვნებს. მართალია, სტილთა უნიფიკაცია გლობალიზაციის თანამდევი პროცესია, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს სასაუბრო და მწიგნობრული, მეცნიერული და მდაბიური მეტყველების აღრევას, გამთლიანებას. ეს საკითხი აკადემიური წერის სწავლების ერთ ერთი პრიორიტეტია, დღესდღეობით აქტუალურია სტილთა დიფერენციაციის, მათი ტრანსფორმაციის ცოდნა, მიზნობრივი ტექსტების შექმნა, რასაც სათანადო ყურადღება არ ექცევა.

ნანა ცეცხლაძე,
ასოცირებული პროფესორი

დედა ენა

მშობლიურ ენას,
ქართველი ხალხი
ჟამთა სიღრმიდან იცავდა
მყარად,
თვით ერიც ენამ
გადაარჩინა,
არ გადაშენდა,
იცოცხლებს მარად.
ქართველისათვის
მშობელი ენა,
მართლაც დედაა,
წყალობა ღვთისა,
ქართული სიტყვა,
ქართული გენი,
გვზრდის ამაყ შვილად,
ბარის თუ მთისა.
ქართულად სიტყვებს —
შენი ჭირი მე,
შენ შემოგევლე, ან
გენაცვალე,
გულწრფელად ვამბობ,
ვიცით რომ ნიშნავს
— სხვისი ჭირი შენს
ლხინს ანაცვალე.
ფარნავაზ მეფის,
ცურტაველისა,
ენა ხანძთელ თუ შავთელ
ბერისა,
შოთასი, ტბელის, ილიას,
ვაჟას,
გოგებაშვილის დედა
ენისა.
ენა ხახულის, ოშკის,
ვარძიის,
ბაგრატის, ტბეთის,
ჯვრის, იშხანისა;
გელათის, გრემის,
იყალთოს, ზარზმის,
ენა ბიჭვინთის თუ
ხიხანისა.
პალესტინაში ბეთლემის
კოშკზე,
წყისზე ჯავახეთს,
ბოლნისს სიონზე,
ძველი ქართული წარწერა
მოჩანს,
ვით მთები ბებერ
კავკასიონზე.
კაცობრიობის
დამწერლობებში,
იმ ექვსთა შორის არის
ქართული,
ნუსხახუცურით,
ასომთავრულით,
ჩვენი ანბანი ამოქარგული.
ნუთუ ზეზვას და მზიასგან
მოდის
ამოუწურავ სიტყვის
მარაგით,
როგორც წერია, ისე
კითხულობ
ასოს თუ ბგერას ქართულ
ქარაგმით.
მშობელი ენა ბურჯია
ერის,
ენა წინაპრის და
შთამომავლის;
რწმენა, სიბრძნე და ჯანი
ქართველის,
ნიჭი წარსულის, ბედი
მომავლის.

ანზორ დიასამიძე,
ემერიტუსი პროფესორი



გიყვარდეთ ერთმანეთი!...

ამქვეყნად ჩვენს ყოფნას აზრი არ ექნებოდა, რომ არა უდიდესი ძალა, რომელიც — როგორც ამბობენ, გლახაკს მდიდრად აქცევს, უშნოს ლამაზად, უნიჭოს ნიჭიერად. ...და რა უნდა იყოს ეს გრძნობა თუ არა სიყვარული?! როგორც გალაკტიონი გვასწავლის:

„უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარზე,
სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება სასიხარულოდ.“

სიყვარული იმდენად დიდი გრძნობაა, რომ შეუძლია ადამიანის გადარჩენა, მისი გამოსწორება, ცხოვრების გზაზე დაყენება. ეს კი მიიღწევა სულიერი ამაღლებით. ცნობილია, რომ „ადამიანს შეუძლია ამაღლდეს ღმერთამდე ან დაეცეს ცხოველამდე“. სწორედ სიყვარული აამაღლებს ადამიანს.

„სიყვარულში“ ჩვეულებრივ, ვგულისხმობთ მხოლოდ ქალ-ვაჟის გრძნობას. სინამდვილეში კი იგი მრავალგვარია. არსებობს დედაშვილური, დაძმური, მეგობრული და კიდევ სხვა სახის სიყვარული. ყველამ კარგად იცის, რომ ვალენტინობა შეყვარებულთა დღეა, თუმცა საქართველოში 1993 წლიდან სიყარულის დღის სახელით აღინიშნება 15 აპრილიც, დამაარსებელი კი ჩვენი თანამემალლე და თანამედროვე ბესო ჩუბინიძეა, რომელიც მაშინ მოზარდებისთვის საკმაოდ პოპულარული ჟურნალის „ვასკვლავების“ რედაქტორი გახლდათ.

მოგეხსენებათ, ქალ-ვაყის სიყვარულის დღედ 14 თებერვალი ითვლება, 15 აპრილი კი ყველანაირი სიყვარულის დღეა. ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება სხვადასხვა სახის სიყვარულის მაგალითების ჩვენება:

სალომე და რატი ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები არიან. ამბობენ, რომ ერთმანეთი უყვართ. მაშინ როცა მათი გრძნობა დროის გამოცდას გაუძლებს და სწავლას დაასრულებენ, დაქორწინდებიან კიდეც.

სალომე:

— ჩემი საყვარელი ადამიანი ჩემთვის მართლაც ძალიან ბევრს ნიშნავს. ის ჩემთვის ყველაფერია. მაშინაც კი, როცა ვერ ვხედავ, ძალიან მაკლია. უსაზღვროდ მიყვარს და იმედია სულ ერთად ვიქნებით. ბედნიერი ვარ, ასეთ კარგ ადამიანს რომ შევუყვარდი.

რატი:

— სიყვარული უდიდესი გრძნობაა. მე ბედნიერი ვარ, რომ მიყვარს და ჩემი გული სავსეა სიყვარულით. სიყვარულმა ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა. როცა გიყვარს, ცდილობ ეს გრძნობა შეინარჩუნო. მადლობა უფალს, რომ სიყვარულის შანსი მომცა, რამაც ცხოვრება გამიხალისა და გამილამაზა. სიყვარული ჩემი მამოძრავებელი ძალაა. მის გარეშე ჩემი ცხოვრება ერთფეროვანი იქნებოდა.

დარინა და ნათია ბავშვობიდან მეგობრობენ. ისინი გულწრფელ, მეგობრულ სიყვარულზე საუბრობენ:

დარინა:

— ჩემთვის ნამდვილი მეგობარი ყველაფერია. მასთან შემიძლია გულის გადაშლა. ვიცი, ის არასდროს მიღალატებს, ყოველთვის ჩემი ერთგულია და მისი იმედი მაქვს. პირადად მე ძალიან მიყვარს ჩემი მეგობარი და მისთვის მზად ვარ ნებისმიერ დათმობაზე წავიდე.

ნათია:

— ჩემი მეგობარი ერთადერთ ადამიანად მეგულება, ვისი იმედიც ყოველთვის შეიძლება მქონდეს. ბავშვობიდან ვიცნობ და ერთი დღეც არ მახსოვს ისეთი, რომ ჩემ გვერდით არ იდგეს ჭირშიც და ლხინშიც და რაც მთავარია, იგი ჩემთვის უანგაროდ აკეთებს ყველაფერს. ღვთის წყალობაა, ასეთი ადამიანი გვერდით რომ მყავს და ვცდილობ მისთვისაც ისეთივე არაჩვეულებრივი და საიმედო ვიყო, როგორიც ისაა ჩემთვის. მის გარეშე ცხოვრების ერთი დღეც ვერ წარმომიდგენია.

ლია და ნინო დედაშვილურ სიყვარულზე საუბრობენ. დედამ პირადი კარიერა შვილისთვის რომ მზრუნველობა არ მოეკლო, დათმო დაივიწყა. თავის მხრივ, დღეს ნინოსთვის დედა უპირველესი საფიცარი და სალოცავი ხატია.

ლია:

— დედობა უდიდესი ბედნიერებაა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისეთი შვილი გყავს, როგორიც ჩემი გოგონაა. ახალგაზრდობაში ჩემთვის ყველაზე მთავარი კარიერა იყო, მაგრამ თავი რეალურად მაშინ მივიჩნიე უბედნიერესად, როცა ნინო გამიჩნდა. მასზე ზრუნვა, მისი წარმატებების გაგონება, გაცისკროვნებული თვალების ხილვა, ჩემთვის უდიდესი სიხარულია. მიყვარს ის და ვცდილობ სხვებსაც გავუზიარო ეს ბედნიერება.

ნინო:

— ჩემთვის ორი უსაყვარლესი ადამიანი არსებობს. პირველ რიგში დედა, რომელმაც სიცოცხლე მაჩუქა და ცხოვრება მომიძღვნა. ის ჩემი უსაყვარლესი მეგობარიცაა. ნათქვამია, დედაშვილური სიყვარული მძლეთამძლეაო და ალბათ, ეს სიტყვები ჩემი და დედიკოს ურთიერთობაზე ითქმის. ისეთი აღფრთოვანებული ვარ მისით, რომ სიტყვები არ მყოფნის ამის გადმოსაცემად. უფალს მადლობას ვწირავ, რომ ასეთი ადამიანის შვილობა მარგუნა.

ყველას მოგილოცავთ გაზაფხულის კიდევ ერთ ულამაზეს დღესასწაულს და გისურვებთ, სიყვარულით გეცოცხლოთ, რადგან არ არსებობს ამაზე დიდი გრძნობა დედამიწაზე. სწორედ სიყვარული ხდის ჩვენს არსებობას საინტერესოს. „სიყვარულო ძალსა შენსა“ — ამასვე გვმოძღვრავს ჩვენი დიდი თანამემამულე და ჩემმა რესპონდენტებმაც სწორედ ეს აღნიშნეს. ისე. ზოგჯერ იმასაც ვფიქრობ, რომ სიყვარულს განსაკუთრებული დღე არ სჭირდება. ღმერთმა სამყარო სიყვარულით შექმნა და ყოველი დღეც სიყვარულისაა.

წელს ჩვენთან აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული და ე.წ. ქართული სიყვარულის დღე ერთმანეთს დაემთხვა. შეუძლებელი იყო, გამოგვპარვოდა ჩვენი ქალაქის ქუჩებში შეყვარებულთა იმედიანი სახეები და მილოცვა — ქრისტე აღსდგა! — ჭეშმარიტად აღსდგა!

ქრისტერმიერი მადლით გიყვარდეთ ერთმანეთი!

განათლებისა და
მეცნიერებათა ფაკულტეტის
გეოგრაფიის სპეციალობის
I კურსის სტუდენტი
ნათია ცინარიძე

სიყვარულის ფსიქოლოგია

თუ ვინმე გიყვარს, ადამიანი ხარ, — ეს სიტყვებიც კი საკმარისია იმის ასახსნელად, თუ რა ადგილი უჭირავს სიყვარულს ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს რობერტ სტენბერგის სიტყვებიც: „გამოხატვის გარეშე უდიდესი სიყვარულიც კი შეიძლება მოკვდეს.“ სიყვარული რთული ფსიქიკური მდგომარეობაა, მისთვის დამახასიათებელია: 1) გრძნობების, აზრებისა და მოქმედებების აკვიატებული კონცენტრირება სიყვარულის ობიექტზე იმ ზომით, რომ ეს ხშირად სხვა საზრუნავის უგულებელყოფასაც იწვევს; 2) უკიდურესი სუბიექტურობა, რის გამოც უპირატესად აღიქმება სიყვარულის ობიექტის დადებითი თვისებები; 3) ამაღლებული გუნება-განწყობილება; 4) სექსუალური ლტოლვა სიყვარულის ობიექტის მიმართ. სიყვარულის აცილება და კონტროლი შეუძლებელია, რაც მიანიშნებს მის ორგანულ ძირებზე. მართლაც, დადგენილია, რომ ამ დროს გამოიყოფა ისეთი ჰორმონები, რომელთა ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ეფექტი ნარკოტიკული ზემოქმედების ადეკვატურია, მაგრამ ეს ნივთიერება მუდმივად არ გამომუშავდება. შესაბამისად, უმეტეს შემთხვევაში, სიყვარულის გრძნობის სიმძაფრე 2-3 წლის შემდეგ იკლებს. ჩვენ ყველა არ შეიძლება გვიყვარდეს. რაზეა ამ შემთხვევაში ჩვენი გემოვნება დაფუძნებული? მას ნაწილობრივ ნათელყოფს ევოლუციური ფსიქოლოგია, რომლის თანახმად ადამიანების სექსუალური მოტივაციისა და ქცევის თავისებურებები ჩამოყალიბდა ევოლუციის პროცესში შთამომავლობის გაჩენის, შენარჩუნებისა და შემდგომ თაობაში მშობლების გენების გადაცემასთან დაკავშირებით. ეს გასაგებს ხდის განსხვავებებს იმ მოთხოვნებში, რომლებსაც ქალები და კაცები უყენებენ მათ პარტნიორებს ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური თვალსაზრისით. მრავალ კულტურაში ჩატარებული გამოკვლევა ცხადყოფს, რომ საზოგადოდ მამაკაცები ქალებზე მეტ ყურადღებას აქცევენ პარტნიორის გარეგნულ მხარეს. ისინი უპირატესობას ანიჭებენ ქალების ისეთ პროპორციებს, რომლებიც ოპტიმალურია შვილის ყოლის და მოვლის თვალსაზრისით. ქალები მეტ ყურადღებას აქცევენ პარტნიორის იმ თვისებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მის დაცვას. ისინი გაცილებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პარტნიორის სოციალურ სტატუსს, მის ფინანსურ მდგომარეობას და ისეთ პიროვნულ თვისებებს, როგორიცაა: ამბიციურობა, შრომისმოყვარეობა და ინტელექტი, სტაბილურობა და ერთგულება, რაც იმის ერთგვარი გარანტიაა, რომ გარკვეული ხნის განმავლობაში იგი შეეცდება უზრუნველყოს ოჯახი მატერიალური რესურსებით.

რობერტ სტენბერგის სიყვარულის სამკომპონენტიანი თეორია გვიჩვენებს იმას, რა რთულია ახლო, სასიყვარულო ურთიერთობებში წარმატების მიღწევა. რობერტ სტენბერგი ამ გრძნობას განიხილავს, როგორც სამკუთხედს და ის თვლის, რომ სიყვარული შედგება 3 კომპონენტისგან:

ესაა ინტიმურობა, სიახლოვის გრძნობა, რომელიც ვლინდება სასიყვარულო ურთიერთობებში. მოსიყვარულე ადამიანები გრძნობენ, რომ დაკავშირებული არიან ერთმანეთთან. სიახლოვეს აქვს სხვადასხვა გამოვლინება. ადამიანს სურს, რომ მისი საყვარელი ადამიანების ცხოვრება გახადოს უკეთესი, მათ მიმართ განიცდის გულწრფელ სიმპათიას და როცა ისინი არიან მის გვერდით, თავს გრძნობს ბედნიერად. ადამიანი მოელის, რომ რთულ წუთებში ისინი მხარს დაუჭერენ და თვითონაც ცდილობს დაანახვოს მათ, რომ მზადაა იმავეს გასაკეთებლად. მათ აქვთ საერთო ინტერესები, ერთმანეთს უზიარებენ ნივთებს, აზრებს, გრძნობებს. — ვნება ეს იგი ემოციაა და ეკუთვნის აღგზნების ისეთ სახეს, რომელსაც მივყავართ ფიზიკურ ლტოლვამდე და სექსუალურ ქცევამდე. სქესობრივი მოთხოვნილებები აქ მნიშვნელოვანია, მაგრამ არ წარმოადგენს ერთადერთ მოტივაციას, მაგალითად, თვითპატივისცემისა და მხარდაჭერის მოთხოვნილებამ შეიძლება ითამაშოს გარკვეული როლი. ზოგჯერ სიახლოვე იწვევს ვნებებს, სხვა შემთხვევაში კი ვნება შეიძლება უსწრებდეს სიახლოვეს.

— გადაწყვეტილება/ვალდებულებები. სიყვარულის ამ კომპონენტს აქვს ხანმოკლე და ხანგრძლივი ასპექტები. ხანმოკლე ასპექტში აისახება გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ კონკრეტულ ადამიანს უყვარს მეორე ადამიანი. ხანგრძლივი ასპექტი კი ესაა ვალდებულება, რომ მან შეინარჩუნოს ეს სიყვარული. ეს სამი კომპონენტი ქმნის სხვადასხვა კომბინაციას, რომელთა დემონსტრირებისთვის სტენბერგმა შეიმუშავა სასიყვარულო ურთიერთობების სისტემა. სიმპათია, რომელიც გულისხმობს ინტიმურობას. ვნებიანი სიყვარული — ვნებას. მოგონილი (უაზრო, ფუჭი) სიყვარული არის ერთგვარი აკვიატება და არცერთ კომპონენტს არ მოიცავს. რომანტიკული სიყვარული აერთიანებს ინტიმურობას და ვნებას, სიყვარული ამხანაგობა კი ინტიმურობას და ვალდებულებებს. ბრმა სიყვარული აერთიანებს ვნებას და ვალდებულებებს, სრულყოფილი სიყვარული — ინტიმურობას, ვნებას და ვალდებულებებს. ცხადია, ადამიანთა უმრავლესობას იმედი აქვს, რომ მისი ქორწინება დაგვირგვინდება სრულყოფილი სიყვარულით, რომელშიც შეხამებულია სამივე კომპონენტი, თუმცა ხშირია შემთხვევები, როცა ადამიანი ბრმა გატაცებას მიიჩნევს მოწიფულ სიყვარულად და ისეც ხდება, რომ ერთობლივი ცხოვრებისას ვნება ქრება და მის ადგილს იკავებს სიყვარული-ამხანაგობა.

სიახლოვე შეიძლება დაინგრეს ნეგატიური გრძნობებით, განსაკუთრებით, როცა იგი ადამიანს უბიძგებს ცრუ იდენტურობისკენ, რომლის საფუძველს წარმოადგენს არა შინაგანი მოთხოვნილების რეალიზაცია, არამედ ადამიანის სურვილი, ასიამოვნოს სხვას.

ზიკ რუბინი სიყვარულში გამოყოფს სხვა ფაქტორებსაც: 1 — მიჩვევა მაგალითად, „მე რომ მარტო ვიყო, ჩემი პირველი აზრი იქნებოდა, მეპოვე .....“ 2 — ზრუნვა მაგალითად, „თუ ცუდად გრძნობს თავს, ჩემი პირველი მოვალეობა იქნებოდა მისი გამხიარულება.“ 3 — ინტიმურობა — მაგალითად, „მე ვგრძნობ, რომ შემიძლია აბსოლუტურად ყველაფერში ვენდო.“ ფსიქოლოგები კლოდ და სუზან ხენდრიკები სიყვარულში სამ ასპექტს აერთიანებენ: ესენია: ეროსი (ვნება); ლუდუსი (თამაში); სტორგე (მეგობრობა). როგორც ვხედავთ, მკვლევრები სხვადასხვა გზით შეეცადნენ გაეცათ პასუხი კითხვაზე, თუ რას ნიშნავს განიცადო სიყვარული და რაღაც საერთო მიდგომა გამოინახა. ადამიანების სიყვარულის გააზრება სამ ჯგუფად დაიყო: ვნება - სექსუალური ლტოლვა და სურვილი; ინტიმურობა გულწრფელობა და ურთიერთგაგება; ნდობა ერთგულება და თავგანწირვა. როდესაც ვსაუბრობთ სიყვარულზე, ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ ვინმეს სიყვარული და სასიყვარულო ურთიერთობები. ადამიანების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სიყვარულის კატეგორია უფრო დიდი რაოდენობით ადამიანს მოიცავს, ვიდრე სასიყვარულო ურთიერთობები. ალბათ, ბევრისთვის უტკენია გული სიტყვებს: „მიყვარხარ, მაგრამ შენთან ვერ დავამყარებ სასიყვარულო ურთიერთობებს“. სასიყვარულო ურთიერთობებში რაღაც უფრო ინტენსიური და განსაკუთრებული იგულისხმება; ამ ტიპის ურთიერთობები სექსუალურ ლტოლვას მოიცავს. მართალია, ის ხშირად ძლიერი ლტოლვითა და გატაცების პერიოდით იწყება, რომელსაც ვნებიანი სიყვარული შეიძლება ვუწოდოთ. დროთა განმავლობაში ლტოლვის ინტენსივობა იკლებს და ინტიმურობა იმატებს. ამას მეგობრული სიყვარული შეგვიძლია ვუწოდოთ. როდესაც შეყვარებული იქნებით, თქვენ თვითონ შეამჩნევთ ასეთ ცვლილებას; ასე რომ, არ იფიქროთ, - „სიყვარულს კარგავთ“, ეს ბუნებრივი პროცესია და ასეც რომ არ იყოს, ვნებიანი სიყვარულიდან გამოსვლა არც ისე დრამატულია, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. საინტერესოა, ახდენს თუ არა გავლენას კულტურა სიყვარულის განცდაზე? პასუხი ცალსახაა, რა თქმა უნდა, ახდენს, კროსკულტურული გამოკვლევები მოწმობენ, რომ არსებობს მყარი საფუძველი ვიფიქროთ, რომ დამოუკიდებლობაზე ორიენტირებული კულტურები უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ სიყვარულს. ისინი პიროვნების „მე“-ს მახასიათებლებს კოლექტიურ მახასიათებლებზე მაღლა აყენებენ. ხოლო ურთიერთდამოკიდებულებებზე ორიენტირებული კულტურების წარმომადგენლები გაზიარებულ კულტურულ ღირებულებებს ადამიანის ინდივიდუალობაზე მაღლა აყენებენ და უფრო მომთხოვნი არიან პარტნიორების მიმართ. მაშასადამე, თუ პარტნიორს თქვენს პირად გრძნობებზე დაყრდნობით ირჩევთ, მაშინ უპირატესობას თქვენს პირად შეხედულებებს ანიჭებთ, ხოლო, თუ პარტნიორს იმის მიხედვით ირჩევთ, თუ როგორ გამოჩნდებით სხვების თვალში და რას იფიქრებენ ისინი თქვენს ოჯახზე, თქვენ უფრო კოლექტივისტურ შეხედულებებზე ყოფილხართ ორიენტირებული. ადამიანების უმეტესობას უყვარს ის ადამიანები, რომლებიც ფიზიკურად მიმზიდველნი, მათი მსგავსნი არიან და ვისგანაც იმავე იმპულსებს იღებენ. სასიყვარულო ურთიერთობები მით უფრო მყარია, რაც უფრო მეტადაა ჩართული პარტნიორი ჩვენს „მე“-ში. დამოკიდებულების მოდელი გულისხმობს, რომ ადამიანები უფრო მეტად ინარჩუნებენ ურთიერთობას, რაც უფრო მეტად აკმაყოფილებს ეს ურთიერთობა ისეთ სპეციფიკურ მოთხოვნილებებს, რომლებსაც სხვა ვერავინ დააკმაყოფილებს. სიყვარულის განცდაზე და სასიყვარულო ურთიერთობებზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას და ჩვენ დაახლოებით, ასე თუ ისე ვხვდებით, რატომ მოგვწონს და გვიყვარს ის, მეორე ადამიანი და მიუხედავად ამისა, თუ ჩვენ შევძლებთ ამომწურავად და სრულყოფილად გავცეთ პასუხი კითხვას: „რატომ მიყვარხარ მე შენ?“, მაშინ ჩვენ არ გვყვარებია....

ძეთევან ბერიძე,
ფსიქოლოგიის აკადემიური
დოქტორი

პედაგოგთა კავშირი – 50

პრობლემები, პერსპექტივა

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირი 50 წელს ითვლის. იგი ერთ-ერთი პირველი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც საბჭოთა სინამდვილეში საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 14 ივლისის №429-ე დადგენილებით შეიქმნა. პედკავშირი დიდი ილიასა და იაკობის მიერ დაფუძნებული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სამართალმემკვიდრეა. საზოგადოებამ თავისი მისია შესრულებულად 1961 წელს ჩათვალა. აღნიშნული ორგანიზაცია, საზოგადოების უკანასკნელი თავჯდომარის, იასონ ლორთქიფანიძის განკარგულებით გაუქმდა. ხოლო 1961 წელს, ღვთის შეწევნით, ისევ იასონ ლორთქიფანიძის შთამომავლის, ცნობილი მეცნიერის, „პედაგოგიკის“ ავტორის — დავით ლორთქიფანიძის ხელდასმით და ძალისხმევით დაფუძნდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოება (1997 წლიდან საზოგადოება პედაგოგთა კავშირად იწოდება), რომელიც უკვე ნახევარი საუკუნეა ჩინებულად განაგრძობს დიდი წინაპრების გზას.

პედკავშირმა მემკვიდრეობით უდიდესი ინტელექტუალური პოტენციალი მიიღო. ათეული წლების განმავლობაში საშური და სასიკეთო საქმეები აკეთა, ეროვნული პრინციპებისა და კულტურული ფასეულობების დაცვა-შენარჩუნებისათვის იღვაწა, ეროვნულ ცნობიერებაზე დაფუძნებული ყველა იდეა და იდეის მატარებელი მეცნიერი შეაკავშირა. იგი დღეს პედაგოგთა და მეცნიერთა 75-ათასიან არმიას აერთიანებს, რომელიც თავის დიდ მისიას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მჭიდრო ურთიერთობითა და თანამშრომლობით ახორციელებს; იგი იღვწის პედაგოგიური მეცნიერების უახლესი მიღწევების, ახალი პედაგოგიური ტექნოლოგიების, მიდგომების და ორიენტირების, მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების პრაქტიკაში დანერგვისათვის, მასწავლებელთა შემოქმედებითი აქტივობის განვითარების, მათი პროფესიული დაოსტატების, გამოჩენილი ადამიანების, ამაგდარი პედაგოგების, მეცნიერების ღვაწლის წარმოჩენისათვის,, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ფასეულობების შენარჩუნების, სკოლის ოჯახისა და საზოგადოების კავშირის განმტკიცების და დროით ნაკარნახევი სხვა ამოცანების გადასაწყვეტად.

პედაგოგთა კავშირს თავიდანვე დაებედა გამოჩენილ ადამიანთა თავკაცობა. სხვადასხვა დროს მას სათავეში ედგნენ, გამგეობაში იღვწოდნენ და იღვწიან ცნობილი მეცნიერები: დავით ლორთქიფანიძე, გიორგი ჯიბლაძე, ოთარ ქინქლაძე, ნათელა ვასაძე, მამია დარჩია, კარლო მაჭარაშვილი, ზურაბ ცუცქირიძე, ოლეგ ალავიძე, თამარ ლაშქარაშვილი, გრიგოლ საჯაია და სხვები. ამჟამად ორგანიზაციას ხელმძღვანელობს მრავალმხრივ მოღვაწე, ფართო მეცნიერული და ლიტერატურული ინტერესების მქონე მეცნიერმკვლევარი, რედაქტორი, თავმჯდომარე, ლიტერატორი ჩვენი და საზღვარგარეთის ქვეყნების არაერთი აკადემიის აკადემიკოსი — გარი ჩაფიძე, ხოლო ათეული წლებია პედკავშირის თავმჯდომარის მოადგილედ, ხშირად ხელმძღვანელადაც ახალგაზრდული შემართებით, მუხლჩაუხრელად, დღენიადაგ იღვწის და იხარჯება შესანიშნავი პიროვნება, თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული, დიდი იაკობის პიროვნების თაყვანისმცემელი და მისი სულიერი მემკვიდრეობის მკვლევარი— აზა ბუაძე, საქმეთა მმართველი ნუნუ გოგიტიშვილი და სხვები. სწორედ ამ ამაგდარი ადამიანების დამსახურებაა, რომ იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირი ქვეყნის ძნელბედობის მძიმე წლებშიც, ეკონომიკური შეჭირვების პირობებშიც (პედაგოგები წელიწადში იმ ერთ ღარსაც ვერ იხდიდნენ, რომელიც დებულებით საწევრო ანარიცხის სახითაა გათვალისწინებული) პოზიციები არ დაუთმია, მუშაობა არ შეუსუსტებია და განათლების დარგის განვითარებას, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომ სრულყოფას ჩვეული შემართებით ემსახურებოდა. ორგანიზაცია იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მემკვიდრეობის, მისი იდეების მხოლოდ პროპაგანდით კი არ შემოიფარგლებოდა, არამედ მისი პრაქტიკაში დანერგვის, ხორცშესხმისათვის იღვწოდა, საქართველოში მოქმედ ყველა საგანმანათლებლო სტრუქტურაზე ზრუნავდა და მათ მიერ ყველა წამოწყებასა და იდეის განხორციელებაში თავის სიტყვას ამბობდა. ნათქვამის დასტურად საკმარისია თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოს 52 რაიონსა და ქალაქში პედკავშირის ადგილობრივი განყოფილებები და საბჭოები ფუნქციონირებს, რომლებიც ადგილებზე ეწევიან მეტად საჭირო და სასარგებლო საქმიანობას.

პედაგოგთა კავშირთან არსებობდა სექციები, სადაც პედაგოგიური ინოვაციებით, აქტიური და ინტერაქტიური სწავლების მეთოდებით აღიჭურვებოდნენ პედაგოგები, განიხილებოდა ახალი პედაგოგიურ-მეთოდური ლიტერატურა, იზიარებდნენ მოწინავე პედაგოგიური გამოცდილებას და ნერგავდნენ პრაქტიკულ მუშაობაში.

სრულიად საქართველოს თითქმის ყველა პედაგოგი მონაწილეობს პედაგოგთა კავშირის მიერ გამოცხადებულ კონკურსებში: „წლის საუკეთესო სკოლამდელი აღზრდის პედაგოგი“, „წლის საუკეთესო კლასის დამრიგებელი“, „ესთეტიკური ციკლის საგნების საუკეთესო მასწავლებელი“. „წლის საუკეთესო შემოქმედი მასწავლებელი“, „წლის საუკეთესო დაწყებითი კლასების მასწავლებელი“, „წლის საუკეთესო იაკობ გოგებაშვილის კლას-კაბინეტი“, „იაკობ გოგებაშვილი ნორჩ-შემოქმედთა თვალით“, „წლის საუკეთესო ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი“.... მთელმა საქართველომ გაიცნო საუკეთესო პედაგოგები, დამრიგებლები. სამაგალითო კლას-კაბინეტები, რომლებიც სკოლებშია გახსნილი და იაკობის სახელს ატარებს. კონკურსების შედეგებს საზეიმო ვითარებაში აჯამებენ. გამარჯვებულებს ჯილდოდ პედაგოგებისათვის სანუკვარი განძი, იაკობ გოგებაშვილის მემორიალური მედალი გადაეცემათ. ამაგდარი, ვალმოხდილი და ღვაწლმოსილი პედაგოგების, მეცნიერების დამსახურება კავშირის მიერ აღინიშნება მეტად ძვირფასი, უმშვენიერესი და მაღალი ჯილდოთი — იაკობ გოგებაშვილის მედლით, („პედაგოგიურ დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის“) და „ლაურეატის“ საპატიო მედლით, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ გამოცხადებული კონკურსის შედეგად გამოვლენილი საუკეთესო ნაშრომის ავტორს, მკვლევარს ენიჭება. პედაგოგთა კავშირის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაცია თავის მუშაობას განათლების რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად წარმართავს. პრაქტიკაში დანერგილია საიუბილეო და შემოქმედებითი საღამოების, შეხვედრების, გამოფენების, დისკუსია-დიალოგების, კონკურსების, ვიქტორინების, ტრენინგების, ღია კარის დღეების, კონსულტაციების ჩატარება, მოწინავე საინოვაციო საქმიანობის შესწავლა-განზოგადება, ამაგდარი პედაგოგების პატივგება, რეკომენდაციების შემუშავება, ექსკურსიებისა და სხვა ღონისძიებების გამართვა, რომლებიც დიდად უწყობს ხელს პედაგოგებს, აიმაღლონ თავიანთი პედაგოგიურ-მეთოდური მომზადების დონე, დაეუფლონ სწავლების უახლეს მეთოდებს და რაც მთავარია, იყვნენ პედაგოგიური მეცნიერების ევოლუციის მუდმივი სრულყოფის მოწმე და მონაწილე. პედკავშირი განსაკუთრებულად ზრუნავს ერის სასიქადულო შვილების, მეცნიერებისა და მწერლების ეროვნული ღვაწლის, მათი სულიერი მემკვიდრეობის ნათლად წარმოჩენის, გააზრების, გაცნობიერებისა და სახელოვან მამულიშვილთა მაგალითებზე ახლებურად მოაზროვნე, კულტურულად მოპაექრე, მოკამათე, ღრმად და დამოუკიდებლად მოფიქრალ-მოაზროვნე და ზნეობრივად სრულქმნილი პიროვნებების აღზრდა-ფორმირებისათვის. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის, ნოდარ დუმბაძის, იაკობ გოგებაშვილის, ვაჟა-ფშაველას, ფრიდონ ხალვაშის, მამია ვარშანიძის, ზურაბ გორგილაძის.... ასევე ცნობილი მეცნიერების: დიმიტრი უზნაძის, ნიკო მუსხელიშვილის, აკაკი შანიძის და სხვა გამოჩენილი ადამიანების საიუბილეო თარიღების ფართოდ აღნიშვნა.

ორგანიზაციის ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით ასევე ღირსეულად, მაღალ დონეზე აღინიშნა აჭარის განათლების სახალხო კომისრის — ილია ქათამაძის, განათლების ყოფილი მინისტრების: ვახტანგ წულუკიძის, არჩილ ტაკიძის, იოსებ ხიმშიაშვილის, განათლების განყოფილებისა და მეთოდური კაბინეტის გამგეების — ვახტანგ მაკარაძის, ოთარ ბოლქვაძის, ილინ კილაძის, ლევან მესხიძის, ვახტანგ თავართქილაძის, ბიჭიკო ჩხიკვიშვილის, სახელმოხვეჭილი პედაგოგებისა და დირექტორების: დავით მახარაძის, ალექსანდრე ბექაიას, ზურაბ კომახიძის, ლია პაქსაშვილის, ევგენი საფაროვას, თამარ დოლიძის, მერაბ დიასამიძის, იოსებ დიასამიძის, ივერი მელაძის, ზინა დადიანის, ჟუჟუნა ცირიკიძის, ანზორ ციცხვაიას, დომენტი ქიშმარეიშვილის, ნოდარ ავალიანის, ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ყოფილი რექტორების: ხუსეინ ნაკაიძის (პირველი რექტორი), ნადიმ ნიჟარაძის, სტეფანე ქემხაძის, პროფესორ-მასწავლებელების შოთა ნიჟარაძის, ნოდარ ბარამიძის, სერგო დუმბაძის, მერი გორდელაძის, ოთარ გიორგაძის, შოთა მახარაძის, ნოდარ ბასილაძის, თამაზ ფუტკარაძის, საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის— ვახტანგ შამილაძის და სხვათა საიუბილეო თარიღები.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს პედაგოგთა კავშირის მიერ გამოცხადებულ კონკურსებში აჭარის რესპუბლიკიდან არაერთმა პედაგოგმა მიიღო მონაწილეობა, გაიმარჯვა და სანუკვარი იაკობ გოგებაშვილის მედლით დაჯილდოვდა. ხოლო დათვალიერება-კონკურსში— „იაკობ გოგებაშვილი ნორჩების თვალით“ აჭარის საჯარო სკოლების ოცმა მოსწავლემ გაიმარჯვა და საქართველოს პედაგოგთა კავშირის გამგეობის საპატიო სიგელი დაიმსახურა. პედაგოგთა კავშირის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის წარდგინებით დიდი ერისკაცის, იაკობ გოგებაშვილის მედლით დაჯილდოვდნენ ღვაწლმოსილი პედაგოგები, მეცნიერები და განათლების დარგის სხვა ამაგდარი მუშაკები. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ვახტანგ წულუკიძე, არჩილ ტაკიძე, ნოდარ ბარამიძე, რეზო ჯაბნიძე, სერგო დუმბაძე, შოთა მახარაძე, ქეთევან საფარიძე, ომარ გვარიშვილი, ნოდარ ქათამაძე, ნანა ახალაძე, კლარა ჭედია და სხვები. კავშირის აჭარის ორგანიზაციის მიერ გამართულ კონკურსებში „ვინ უკეთ იცნობს იაკობს“ და „ვინ უკეთ კითხულობს აკაკის“ აჭარის საჯარო სკოლების მოსწავლეთა დიდი ნაწილი იყო ჩართული. კონკურსებში გამარჯვებულებს ციხისძირის, ხულოს და კვატიის საჯარო სკოლების მოსწავლეებს — მარეხ ბეჟანიძეს, თამთა თავართქილაძეს და გიორგი ბერიძეს გადაეცათ ფულადი პრემიები (პირველი, მეორე და მესამე პრემია). ხოლო კონკურსში „ვინ უკეთ იცნობს იაკობს“ გამარჯვებულ მოსწავლეთა რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო. ბავშვების დიდმა ნაწილმა სწორად უპასუხა კითხვებს (სულ 80-მდე კითხვა იყო). ისინი საპატიო სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ. სიგელები გადაეცა ასევე კონკურსში მონაწილე ყველა მოსწავლეს (სულ 100-ზე მეტი მოსწავლე დაჯილდოვდა). მოგესხენებათ, განათლების რეფორმამ ძირეულად შეცვალა განათლების სისტემის საქმიანობა. ჩვენც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად აჭარის განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მხარდამხარ მრავალი საინტერესო და სასარგებლო ღონისძიების, პროექტისა და პროგრამის განხორციელება გვაქვს დაგეგმილი. პედაგოგთა კავშირის მცირეოდენი საწევრო თანხა კი არ იძლევა საშუალებას ფართოდ გავშალოთ მუშაობა, დავაჯილდოვოთ აღმზრდელ-პედაგოგები, განათლების დარგის სხვა მუშაკები, გავცეთ პრემიები, სიგელები და ფასიანი საჩუქრები. მდგომარეობას ართულებს ის ფაქტიც, რომ ხშირად ის მიზერული საწევრო თანხაც არ ირიცხება საჯარო სკოლებიდან და უმაღლესი სასწავლებლებიდან პედკავშირის ანგარიშზე, რომელიც წესდებითაა გათვალისწინებული, მაშინ როცა საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრომ მეგაპროგრამით „იაკობ გოგებაშვილი“ 60 მილიონი ლარი გამოყო საჯარო სკოლების მშენებლობისა და რეაბილიტაციისათვის (2005-2011წ.). მაშინ როდესაც ჩვენი ქვეყნის პირველმა ქალბატონმა, სანდრა რულოვსმა ნათლად გაიაზრა და გაითავისა დიდი იაკობის მემკვიდრეობის მნიშვნელობა ერისა და ქვეყნის წინაშე, მხარში დაუდგა პედაგოგთა კავშირს და ქველმოქმედების სახით სოლიდური თანხა ჩარიცხა კავშირის ანგარიშზე. მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და მისი თავკაცის — გია აბულაძის მიმართ. ბატონი გია მაშინაც მხარში გვედგა, როცა ბათუმის საგანმანათლებლო რესურსცენტრს ხელმძღვანელობდა.

პედაგოგთა კავშირს არ აკლდა და არ აკლია ყურადღება შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისაგან. ორგანიზაციას ხომ ათეული წლების განმავლობაში უნივერსიტეტის აღიარებული მეცნიერ-პედაგოგები გრიგოლ ბაბილოძე და ალექსანდრე გობრონიძე ედგნენ სათავეში. საუნივერსიტეტო ორგანიზაციას კი თავკაცობდნენ პროფესორები: იური ბიბილეიშვილი, ნოდარ ბასილაძე და ზებურ ავალიანი. ამჟამად ორგანიზაციას შესანიშნავად ხელმძღვანელობს პროფესორი შოთა მახარაძე. მიუხედავად ამისა, საწევრო ანარიცხების მოკრების მხრივ მდგომარეობა მეტად სავალალოა. ზოგიერთი მუნიციპალიტეტიდან 1-2 საჯარო სკოლა თუ რიცხავს პედკავშირის ანგარიშზე თანხას. ანალოგიური მდგომარეობაა უმაღლესი სასწავლებლების მხრიდანაც. არ გვეგულება „დედაენაზე აღზრდილი ადამიანი, მით უფრო მოზარდი თაობის აღმზრდელ-დამკვალიანებელი, მათი სულის მძერწავი პედაგოგი, მეცნიერი, რომელიც წელიწადში ერთ ღარს არ გაიმეტებდა სულმნათი იაკობის პედაგოგთა კავშირისათვის. საჭიროა მხოლოდ საგანმანათლებლო რესურსცენტრების უფროსების, სკოლის დირექტორების, შემოსავლიანი ორგანიზაციების, ქველმოქმედი ბიზნესმენების ყურადღება, მხარში დგომა, თანადგომა და დახმარება, რომ პედაგოგთა კავშირმა პირნათლად შეასრულოს თავისი მისია. სხვა რომ არ იყოს რა, „დედა ენის“ მადლს და ხიბლს ხომ ყველა ქართველი ვართ ნაზიარევი!

აკაკი ზოიძე,

საქართველოს
იაკობ გოგებაშვილის
პედაგოგთა კავშირის აჭარის
რესპუბლიკური ორგანიზაციის
თავმჯდომარე,
განათლების მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

„ტრანსატლანტიკური კონცერტის“ სისტემა

„ცივი ომის“ დასრულების შემდგომ საერთაშორისო არენაზე განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ მსოფლიოს წამყვანმა სახელმწიფოებმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, თავის ევროპელ მოკავშირეებთან ერთად, რომლებსაც ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ალიანსი აერთიანებს, შექმნეს საერთაშორისო სისტემის „ტრანსატლანტიკური ცენტრი“. ის დღეს გლობალურ პოლიტიკაში ერთ-ერთი „მარეგულირებელი წესრიგის“ ფუნქციას ასრულებს.

ისტორიული გამოცდილების და თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით შეიძლება ვისაუბროთ საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე ან იმავე პოსტ ბიპოლარულ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაზე. სისტემას უწოდებენ ელემენტთა სიმრავლეს, რომლებიც ურთიერთქმედებით ქმნიან „მთლიანობას“ და „ერთიანობას“. იგი განსაზღვრავს საერთაშორისო არენაზე სტაბილურობას და ხელს უწყობს სახელმწიფოთა ურთიერთობებს, ურ თიერთმოქმედებასა და მშვიდობიან თანაარსებობას. სისტემის შესახებ წარმოდგენა კი დაკავშირებულია ცნებებთან: ელემენტი, მთლიანობა, სტრუქტურა, კავშირი, იერარქია, ქვესისტემა, რაც მთლიანობაში განაპირობებს საკუთრივ მის სახეს და შინაარსს.

საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა უკვე ხუთასი წელია არსებობს და ამ პერიოდის განმავლობაში მან აჩვენა ის, თუ რა განაპირობებს მის ფორმირებას, განადგურებას, ტრანსფორმაციას და ახალი სისტემის ჩამოყალიბებას.

საერთაშორისო სამართალში ბატონობს სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპი, რომლის თანახმად ყველა სახელმწიფოს ერთნაირი უფლებები და მოვალეობები გააჩნია. არცერთ ძლიერ სახელმწიფოს არ აქვს უფლება, თავს მოახვიოს სუსტს თავისი ბატონობა ან პრივილეგია მოითხოვოს, თუმცა საერთაშორისო პრაქტიკიდან ისიც ცნობილია, რომ იურიდიული თანასწორობა სულაც არ ნიშნავს სახელმწიფოთა პოლიტიკურ თანასწორობას. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო სისტემაში შეიძლება გაბატონდეს ერთი რომელიმე სახელმწიფო ან სახელმწიფოთა ბლოკი, რომლებსაც შეუძლიათ არა მხოლოდ თავს მოახვიონ მთელ სისტემას „თამაშის წესები“, არამედ გამოიწვიონ მასში გარკვეული ცვლილებებიც.

საერთაშორისო სისტემის ძირითად მონაწილეებს შორის ურთიერთობების განსაზღვრული ხასიათი თავსდება ისტორიული განვითარების გარკვეულ პერიოდებში. ეს ურთიერთობები ცალკეულ პერიოდში იძენს განსაკუთრებული სტრუქტურის სახეს, რომელიც განსაზღვრავს საერთაშორისო ურთიერთობების ანუ საერთაშორისო სისტემის ამა თუ იმ ტიპს. საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის სტრუქტურა არის მასში შემავალ სახელმწიფოებსა და სხვა ფაქტორებს შორის სისტემის ფუნქციონირების და განვითარების პროცესში კანონზომიერად წარმოქმნილი განსაკუთრებული კავშირის საშუალება. ვინაიდან სისტემის შემადგენელი ელემენტები ერთმანეთზეა დამოკიდებული და ურთიერთქმედებენ, საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა ავლენს ამ ელემენტებს შორის იმ კავშირებს, რომლებიც უზრუნველყოფს მის სტაბილურობას. რაც უფრო დიდია ურთიერთდამოკიდებულება, მით უფრო მეტია და ინტენსიურია ურთიერთქმედება. ამ შემთხვევაში სისტემა კიდევ უფრო რთული ხდება. განსაკუთრებული მნიშვნელობა კი არსებულ კავშირებს და მოცემულ ისტორიულ პერიოდში ზესახელმწიფოებს შორის ურთიერთობების ხასიათს აქვს.

საერთაშორისო სისტემა მოიცავს იმ მოქმედ ელემენტ-სახელმწიფოებს, რომელთა საპასუხო ქმედებები საგარეო პოლიტიკის შემუშავებისას ანგარიშგასაწევია და ნარჩენების მიერ, რადგან საერთაშორისო სისტემა ის ასპარეზია, რომლის ჩარჩოებში ხორციელდება სახელმწიფოთა ურთიერთშეფასება და ურთიერთდამოკიდებული გადაწყვეტილებების მიღება.

საერთაშორისო ურთიერთობების სისტემამ განვითარების რამდენიმე ეტაპი განვლო. პირველი ეტაპი დაიწყო ევროპაში ოცდაათწლიანი ომის დასრულების (1648 წ.) შემდეგ და გაგრძელდა საფრანგეთის რევოლუციის და ნაპოლეონის ომების დაწყებამდე, რომელმაც მთლიანად შეცვალა არსებული საერთაშორისო წესრიგი. სისტემის მეორე ეტაპი მოდის ვენის კონგრესიდან (1814 წ.) პირველ მსოფლიო ომამდე. მესამე ეტაპი (1919-1922 წლებიდან მეორე მსოფლიო ომამდე პერიოდი) ყველაზე ხანმოკლე აღმოჩნდა. მეოთხე ეტაპი მოიცავს 1945-1991 წლებს ანუ მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან საბჭოთა კავშირის დაშლამდე პერიოდს, მეხუთე ეტაპი — თანამედროვე პერიოდს.

აღსანიშნავია, რომ ყოველი საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ფორმირებას წინ უძღვოდა ხანგრძლივი და გამანადგურებელი მასშტაბის ომი, ვესტფალიის სისტემას — ოცდაათწლიანი ომი ევროპაში, ვენას — საფრანგეთის რევოლუციური და ნაპოლეონის ომები, ვერსალ-ვაშინგტონის სისტემას — პირველი მსოფლიო ომი, იალტა-პოტსდამის — მეორე მსოფლიო ომი. ის, რომ პოსტ-ბიპოლარული საერთაშორისო სისტემის ფორმირება არ ხდება რაიმე გლობალური კონფლიქტის დასრულების კვალდაკვალ, ისე როგორც ეს წინა სისტემების შემთხვევაში მოხდა, ვფიქრობთ, ეს გან აპირობებს ამ სისტემის გა რკვეულ თავისებურებას. არსებული სისტემებიდან მხოლოდ იალტა-პოტსდამისაა ბიპოლარული, დანარჩენი სამი მულტიპოლარულია. ლოგიკურია, რომ ბიპოლარული სისტემის მოშლას ერთ პოლუსზე კონცენტრაცია მოჰყვებოდა, რადგან ერთ-ერთი პოლუსის გაუჩინარება ავტომატურად მეორე პოლუსს გახდიდა უკონკურენტოს და ასეც მოხდა, ამიტომ თანამედროვე საერთაშორისო სისტემა ერთპოლუსიანია, ანუ ამ სისტემის ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ ეს ახალი სისტემა, რომელმაც წინასგან მიიღო ანუ შეინარჩუნა გარკვეული სტრუქტურა მემკვიდრეობით და ელემენტები მხოლოდ ინერციით განაგრძობს არსებობას, რაც მის კრიზისულობას კიდევ უფრო ამძაფრებს. ეს განპირობებულია იმით, რომ ახალ სისტემაში არ არსებობს გამარჯვებული და დამარცხებული ძალები, არ არსებობს საყოველთაოდ აღიარებული და ყველასათვის მეტ-ნაკლებად მისაღები თამაშის წესები. ვინაიდან წინა სისტემის ბიპოლარაზაცია უფრო მეტად განაპირობა სარაკეტო-ბირთვული იარაღის შექმნამ და რეალურ, გლობალურ მასშტაბებამდე საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის გაფართოებამ, სისტემის სტრუქტურამ, ზე სახელმწიფოების არსებულმა რაოდენობამ და მათ შორის ძალთა ურთიერთგავლენამ. მართალია, საბჭოთა კავშირი დაიშალა, მოხდა სისტემის პოლარიზაცია, მაგრამ რუსეთი თავისი ბირთვული პოტენციალით ისევ დარჩა „ზესახელმწიფოდ“, ყოველ შემთხვევაში დასავლეთი ვერ ახე რხებს მასზე „სრული“ კონტროლის მოპოვებას. არადა, საერთაშორისო სისტემაში ყოველთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ძალის, ძალაუფლების დანაწილების ხასიათი სახელმწიფოებს ან მათ კოალიციებს შორის. ყოველ საერთაშორისო სისტემაში გაბატონებული, უძლიერესი სახელმწიფოები გან საზღვრავენ სისტემის იერარქიულობასა და მის შემადგენელ ნაწილებს (სახელმწიფოებს) შორის ურთიერთობათა ხასიათს.

„ცივ ომში“ ამერიკის შეერთებული შტატები გამარჯვებულად მიიჩნევა და, ბუნებრივია, მას არ სჭირდება რაიმე შეთანხმება წამყვან სახელმწიფოებთან, რომელიც მის ქმედებებს რაღაც დონემდე მაინც შეზღუდავს. რუსეთი თვლის, რომ მალე დაძლევს ეკონომიკურ პრობლემებს და დაიბრუნებს ზესახელმწიფოს სტატუსს, ყოველ შემთხვევაში ბირთვული პოტენციალი მოქმედების რაღაც თავისუფლებას მას ანიჭებს მოცემულ ეტაპზეც კი. რაც შეეხება კონტინენტური ევროპის ქვეყნებს

საფრანგეთს და გერმანიას, რომლებიც ცივი ომის განმავლობაში საბჭოთა საფრთხის გამო მათივე სურვილით აშშ-ს მძევლები გახდნენ, იმთავითვე დაიწყეს ფიქრი და მოუკიდებელ, ანგარიშ გასაწევ ძალად ჩამოყალიბებულიყვნენ, რისთვისაც საკუთარი რესურსების გაერთიანება დაიწყეს ევროპის მასშტაბით, რომლის შედეგიც ევროპის ინტეგრაციაა. ინგლისი კი, რომელმაც მე-20 საუკუნეში თანდათან დაკარგა მსოფლიო პოლიტიკაში დამ ოუკიდებლად თამაშის შესაძლებლობა, ამას აშშ-სთან ალი ანსით აბა ლანსებს, თუმცა ზემოთ დასახელებული სახელმწიფოები, რუსეთის გარდა (ეს უკანასკნელი მხოლოდ იძულებულია რეალობას გაუსწოროს თვალი და თავისი სარაკეტო-ბირთვული პოტენციალით თუ ენერგეტიკული ბერკეტებით აღწევს იმას, რომ დასავლეთი მასზე პროდუქტიულ ზეწოლას ვერ ახერხებს და იგი მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცესში თუ აღწევს რაღაც გავლენის შენარჩუნებას), საერთაშორისო სამხედრო-პოლიტიკურ კრიზისულ სიტუაციებში (სპარსეთის ყურის, იუგოსლავიის კრიზისი, ლიბანის კრიზისი) პირველობას მაინც აშშ-ს და ნატოს უთმობენ, რომელიც უფრო ტრანსატლანტიკური ცენტრის არ სებობაზე მიუთითებს. სწორედ ეს უკანასკნელი ფენომენია საინტერესო პოსტბიპოლარულ საერთაშორისო ურთიერთობებში, ვინაიდან ტრანსატლანტიკური ალიანსი იკვეთება ახალი საერთაშორისო უსაფრთხოების არქიტექტურის მნიშვნელოვან, და შეიძლება ითქვას, ძირითად ელემეტად.

1989 წლის გერმანიის გაერთიანება და 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლა საბოლოოდ არ ნიშნავდა ბიპოლარული სისტემის სრულ კრახს. შორეულ აღმოსავლეთში ჩრდილოეთ კორეის და ჩინეთის ფაქტორი, აზიაში ირანის ისლამური რესპუბლიკა, ერაყსა და სირიაში, ეგვიპტესა და ლიბანში არსებული სამხედრო-პოლიტიკური რეჟიმები, რომლებიც ბიპოლარული სისტემის შემოქმედება იყო 1991 წლის შემდეგაც განაგრძობდნენ არსებობას. ეს ის რეჟიმებია, რომლებიც ცივი ომის პერიოდში, სწორედ ორ პოლუსს შორის დაპირისპირების პირობებში წარმოიქმნიდა და იმავე პირობებში თავიანთ არსებობასაც ამართლებდნენ. ახალ რეალობაში კი ისინი უკვე სისტემასთან მიმართებით ნონსენსად იქცნენ და დღის წეს რიგში დადგა მათი დემონტაჟის საკითხი, რაც რიგ შემთხვევაში წარმატებით (ერაყი, ეგვიპტე, ლიბია) განხორციელდა, მართალია, ეს დემოკრატიზაციის მორიგი ტალღის განვითარებით აიხსნება, მაგრამ ამ დემონტაჟის პროცესში დასავლეთის სახელმწიფოების აქტიური სამხედრო მონაწილეობა სხვა ქვეტექსტების შემცველია, რაც სისტემას კონცერტის სახეს აძლევს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველი ახალი სისტემის ჩამოყალიბებას გლობალური მასშტაბის კონფლიქტები უძღვოდა წინ, რაც ფაქტობრივად ასუფთავებდა საერთაშორისო არენას ძველი სისტემის წესრიგისაგან და ახლის ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს, მაშინ ნათელი გახდება თუ რამდენად კრიზისულ პირობებში უხდება პოსტბიპოლარულ სისტემას არსებობა, როცა ძველი სისტემის ძალიან ბევრი ელემენტი (მაგალითად, გაერო თავისი უძლური მექანიზმებით და ინსტიტუტებით) კვლავ განაგრძობს ფუნქციონირებას. თუ ამას დავუმატებთ რუსეთის ბირთვულ პოტენციალს, რითაც ის მსოფლიოს ხშირად ახსენებს თავს, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ მართალია, ბიპოლარული სისტემა დაინგრა, მაგრამ მისი ბევრი ელემენტი კვლავ არსებობს ახალ რეალობაში და პარადოქსულ ხასიათს იძენს.

საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა ყოველთვის ოლიგოპოლური ხასიათისაა და ყოველ მოცემულ პერიოდში წამყვანი მონაწილეები უფრო მეტად განსაზღვრავენ სისტემის ხასიათს, ვიდრე თავად სისტემა განსაზღვრავს მათ ქმედებებს. სისტემაში გაბატონებული სახელმწიფოები საკუთარი ინტერესების უზრუნველსაყოფად ცდილობენ მასზე კონტროლი დაა მყარონ. დღეს სწორედ ხდება ის, რომ ყვე ლა სახელმწიფო ცდილობს სისტემაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს, მაგრამ თანამედროვე ეტაპზე კიდევ ერთი თავისებურება იკვეთება. ჯერ ერთი, ახალი სისტემა ეს არ იქნება საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა, ეს იქნება გლობალური პოლიტიკის სისტემა, რადგან პრობლემები, რომლებიც თანამედროვე ეტაპზე იჩენს ეკოლოგიური, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, ჰუმანიტარული და ა.შ. გლობალური მაშტაბისაა და შესაბამისად, გლობალურ მიდგომას და ქმედებებს მოითხოვს აქტორებისაგან, რაც ხშირად დაპირისპირებულ სუბიექტებს თანამშრომლობას აიძულებს. მეორე თავისებურება ისაა, რომ მიმდინარეობს გლობალური საერთაშორისო საზოგადოების ფორმირება, რომელიც უკვე ჩანს, რომ მნიშვნელოვანი ადგილს დაიკავებს ახალ სისტემაში.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი საერთაშორისო სისტემა საბოლოდ ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა, მაინც მისი განსაზღვრული სტრუქტურული იერარქიიდან განიხილება რამდენიმე ტენდენცია. აშკარაა, რომ დღეისათვის მსოფლიოში არსებობს მხო ლოდ ერთი ზესახელმწიფო — ამერიკის შეერთებული შტატები. მას უკავია გაბა ტონებული პოზიციები თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკურ, სამხედრო-სტრა ტეგიულ სტრუქტურებში. ასევე ლიდერობს ტექნოლოგიურ და სამეცნიერო-ტექნიკურ ურთიერთობებში. გლობალიზაციის პირობებში, რომელიც მნიშვნელოვანწილად შეერთებული შტატებიდან მომდინარეობს, ის ღებულობს აბსოლუტურ უპირატესობას სხვა ქვეყნებთან შედარებით. მეორე ტენდენცია ისაა, რომ ამ სისტემის მიღმა განიხილება რუსეთის ფედერაცია, თუ მასზე დასავლეთის კონტროლი არ გახდება რეალური, არადა რუსეთი პოსტ-საბჭოთა სივრცეში მისი დაუსჯელი ქმედებებით (რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი, ენერგეტიკული ფაქტორი და ა.შ.) ხშირად ახსენებს დასავლეთს, რომ მას ანგარიში უნდა გაუწიონ. ყოველ შემთხვევაში მისი სარაკეტო-ბირთვული პოტენციალი დასავლეთის მიერ რუსეთის „დამორჩილებას“ რთულს ხდის.

გეოეკონომიკური თუ გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, დასავლეთის სახელმწიფოები ცდილობენ გააფართოონ გავლენის სფეროები. თუ ევროპის კონტინენტზე ამას აღწევენ ევროკავშირსა და ნატოში ახალი წევრების მიღებით, აფრიკისა და აზიის ქვეყნებში ამას ცდილობენ მიაღწიონ ე.წ. ფერადი რევოლუციებით. ეს უკანასკნელი კი მეტად საინტერესო ფენომენია და მოითხოვს საფუძვლიან შესწავლას. თანამედროვე ეტაპზე იგი იქცა ერთ-ერთ ყველაზე „დემოკრატიულ“ და აპრობირებულ ბრძოლის მეთოდად არასასურველი რეჟიმის წინააღმდეგ და გავლენის სფეროების მოსაპოვებლად. რა თქმა უნდა, „რევოლუციური სიტუაციების“ შექმნას ამა თუ იმ ქვეყანაში საკუთრივ კონკრეტული რეჟიმის ქმედებებიც უწყობს ხელს (ხანგრძლიობა, ხელისუფლების მემკვიდრეობითობა, ავტორიტარიზმი და აშ.), თუმცა არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ არაბულ სამყაროში მსგავსი რამ ისლამური ფუნდამენტალიზმის შეკავების ფაქტორიც იყო, ხოლო „არაბული გაზაფხული“ შეიძლება გახდეს მისი გაძლიერების მიზეზიც. არაბულ სამყაროში ისლამური ფუნდამენტალიზმის გაძლიერება და გამარჯვება დააჩქარებს ინტეგრაციის პროცესებს, რაც ხელს შეუწყობს მის ალტერნატიულ ცენტრად ჩამოყალიბებას საერთაშორისო არენაზე. ეს ახალი ცენტრი თვისობრივადაც და შინაარსობრივადაც განსხვავებული იქნება.

„ტრანსატლანტიკური კონცერტის“ სისტემის ჩამოყალიბება ბიპოლარული საერთაშორისო სისტემის დაშლის შედეგია, ვინაიდან, ერთი მხრივ, ვარშავის ხელშეკრულების ორგინაზიაციის გაუქმების შემდეგ მისი სივრცის ათვისება ნატომ დაიწყო, რაც მის ტრანსფორმაციაში გამოიხატა. ხოლო მეორე მხრივ, დასავლეთის სახელმწიფოების პოლიტიკასაც მოეხსნა ის შეზღუდვები, რომელიც ბიპოლარული სისტემის პირობებში მეორე პოლუსისაგან ექმნებოდა, მაგრამ ეს არნიშნავდა, რომ ცალკე ამერიკის შეერთებულ შტატებს და ან ცალკე წამყვან ევროპულ სახელმწიფოებს შეუძლიათ განახორციელონ ნებისმიერი, მათ შორის ძალისმიერი მოქმედება და აიღონ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში განვითარებულ მოვლენებზე. ერაყის წინააღმდეგ ომმა და ავღანეთის ანტიტერორისტულმა ოპერაციამ აჩვენა, რომ მიუხედავად სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერებისა, შეერთებულ შტატებს გაუჭირდა წარმატების სწრაფად მიღწევა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ქვეყნებში შეერთებული შტატები კოალიციურ ძალებთან ერთად მოქმედებს. ლიბიის კრიზისმა ასევე აჩვენა, რომ წამყვან ევროპულ სახელმწიფოებს დამოუკიდებლად არ შეეძლოთ თავიანთი ქმედებების განხორციელება, ამიტომ აქცენტის გაკეთება ნატოზე სხვა არაფერი იყო, თუ არა წამყვანი ევროპული სახელმწიფოების მხრიდან ხაზგასმა, რომ ახალ სისტემაში არის ანგარიშგასაწევი ძალა და თქმა იმისა, რომ აშშ არის არა როგორც წამყვანი ძალა, „მსოფლიო ჟანდარმი“, რასაც პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა წამყვანი ევროპული სახელმწიფოებისთვის.

თანამედრო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ერთ ზესახელმწიფოსაც კი სჭირდება საერთაშორისო სისტემის სხვა აქტორებთან ურთიერთობები და კოორდინაცია, ეს საჭიროება კი შეერთებულმა შტატებმა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წყალობით და იკმაყოფილა და ალიანსის წევრებთან თუ მოკავშირეებთან ერთად შექმნა „ტრანსატლანტიკური კონცერტის“ სისტემა, სადაც მათ ქმედებებს ვერავინ ანეიტრალებს.

„ტრანსატლანტიკურიკონცერტი“ ისეთი სისტემაა, სადაც ყველა წამყვანი სახელმწიფო შესაძლებლობის ფარგლებში აკეთებს იმას, რაც სურს. მართალია, სისტემა პოლარულია, მაგრამ ეს პოლუსი ვერ აკონტროლებს სისტემის ყველა მოთამაშეს საერთაშორისო არენაზე. წინა სისტემებისაგან განსხვავებით სარაკეტო-ბირთვული პოტენციალი ამა თუ იმ ქვეყანას საერთაშორისო პოლიტიკაში გლობალური მასშტაბით თუ არა, რეგიონალურ ან ლოკალურ მაშტაბებში დამოუკიდებელი მოქმედების საშუალებას მაინც აძლევს, რაც მათი სრული კონტროლის საშუალებას არ იძლევა. მსგავსი ფაქტორები კი საერთაშორისო წესრიგის უზრუნველყოფას გლობალური მასშტაბით კიდევ უფრო ართულებს. ცალკეული აქტორების დაუსჯელი, სხვა სუვერენული სახელმწიფოების უფლებების ხელმყოფი ქმედებები კი ერთგვარი „საერთაშორისო კონცერტის“ სახეს იძენს.

ირაკლი მანველიძე,

ასოცირებული პროფესორი

ნაწუქარი წიგნები

სიმონ გოგიტიძე ნაშრომში — „ფარნავაზი და არიან ქართლის ლოკალიზაცია“ ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღწეული შედეგების საფუძველზე განსაზღვრავს მეფე ფარნავაზის მოღვაწეობის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს, ასევე აკონკრეტებს საქართველოს ტერიტორიაზე პირველი ქართული სახელმწიფოს შექმნის და „ქართლის ცხოვრებაში“ შესული ნაწარმოებების — „ალექსანდრიანისა“ და „ფარნავაზიანის“ დაწერის თარიღებს.

მკვლევარი არიან ქართლის ლოკალიზაციის ახდენს მცირე აზიაში, ხათურ-ხეთურ სამყაროში, ანტიკური კაპადოკიის ტერიტორიაზე და ძირითადად პარალელებს ავლებს სახელწოდებებთან დაკავშირებით.

მკვლევარი ერთგან სკეპტიკურად განაწყობს მკითხველს, როცა ამბობს, რომ უბრალოდ დაკვირვებულმა კაცმა არ შეიძლება ვერ შეამჩნიოს ამდენი სახელწოდების დამთხვევა.

ავტორი წიგნში განსაზღვრავს ქართველური ტომების განსახლების გეოგრაფიულ არეალს. მისი ადრინდელი ვარაუდით „არიან ქართლი“ „ყოველი კლარჯეთი“ უნდა ყოფილიყო. ბატონი სიმონი არკვევს ტერმინ „არიან ქართლის“ თუ არიანისა და ქართას სემანტიკურ-ეტიმოლოგიურ შინაარსს და ამ სახელწოდების წარმომავლობის ადგილს. მკვლევარი ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე ასკვნის, რომ „არიან-ქართლი“ და მასთან დაკავშირებულ მეფეთა, ღვთაებათა სახელწოდებები და ტოპონიმები თავიანთი წარმომავლობით მიეკუთვნება ხეთურ მცირეაზიურ და ქართველურ- ლაზურ -მეგრულ სამყაროს.

სიმონ გოგიტიძეს მიაჩნია, რომ ქათველი მკვლევრებს „არიან ქართლის“ არასწორი ეტიმოლოგიის გამო მოსდით ეთნიკური ხასიათის შეცდომები და რომ მათ „არიან ქართლი“ ჰგონიათ არა ქართული მოდგმის, არამედ უცხოელების ტერიტორია.

ნაშრომში ავტორი განსაზღვრავს „ფარნავაზის ცხოვრების“ დაწერის დროს. იგი მიმოიხილავს ნაწარმოების შესახებ არსებულ ქართველ ისტორიკოსთა მოსაზრებებს და დაასკვნის, რომ თავი და ბოლო ისაა, რომ ალექსანდრე არასოდეს ყოფილა არა თუ ქართლში, არამედ ამიერკავკასიაშიც კი. მწერალი რომ ძვ. წ. აღ. - საუკუნეების მცხოვრები ყოფილიყო, მაშინ მას კარგად უნდა სცოდნოდა ქართლში მაკედონელთა ყოფნა-არყოფნის საკითხი და იგი ქართლის სამეფოს სპარსთა სახელმწიფოს მიმსგავსებულ დაყოფას არ გაიმეორებდა.

მკვლევარს საეჭვოდ მიაჩნია, რომ ძვ. წ. აღ. V- საუკუნეთა მიჯნაზე ქართლის სამეფოს დაქვემდებარებაში ეგრისის და არგვეთის ყოფნა. ამ დროის კოლხეთი ჯერ კიდევ ძლიერ სამეფოს წარმოადგენდა და თანაც მსგავსი ვარაუდის გამოთქმისთვის ძველბერძნულ წყაროებში არავითარი მასალა არ შემორჩენილა.

მას სარწმუნოდ არ მიაჩნია ფარნავაზის მიერ შორაპნის და დიმნის ციხესიმაგრეების აგებაც.

ავტორი აღნიშნავს, რომ ეს ციხესიმაგრეები პირველად მოიხსენიება სტრაბონთან კოლხეთის და იბერიის აღწერილობაში. პროკოპი კესარიელის მიხედვით შორაპანი და სკანდაც ლაზებს აუგიათ.

ავტორს, ივ. ჯავახიშვილის და გიორგი მელიქიშვილის მსგავსად, მართებულად არ მიაჩნია ქართლის დაყოფა რვა საერისთავოდ. მათი აზრით, დაყოფა უნდა მომხდარიყო ვახტანგ გორგასლის დროს, რადგან ჩვენთვის ცნობილია ვახტანგის დროინდელი საერისთავოების მმართველთა სახელები. სიმონ გოგიტიძის ვარაუდით, თუ „ფარნავაზის ცხოვრება“ რეალურია, მაშინ საერისთავოების ჩამოთვლისას აუცილებლად უნდა ყოფილიყო ნახსენები ხევები და ოლქები: გოგარენე-გუგარქი, ხორძენა, პარიადრი, მთის კალთები ტაო, სპერი. ავტორი სვამს კითხვას, თუ რატომ ვერ მოხვდა ჩამოთვლილ საერისთავოთა შორის ეს ქვეყნები თუნდაც სხვა სახელწოდებით.

მკვლევრის აზრით, „ცხოვრება ფარნავაზისა“ შეუძლებელია შექმნილიყო ახ. წ. აღ. V საუკუნემდე, კერძოდ, აზნაურობის ჩამოყალიბებამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში მწერალს კარგად ეცოდინებოდა აზნაურობის წარმოშობის დრო, მაგრამ საეჭვოდ მიგვაჩნია 1979 წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიის V-X კლასების სახელმძღვანელოში გამოთქმული მოსაზრების საფუძველზე ქრისტიანობის აზნაურთა რელიგიად გამოცხადება.

სიმონ გოგიტიძე სასპერ-იბერთა იდენტიფიკაციის საფუძველზე ეთანხმება გიორგი მელიქიშვილის აზრს და ასკვნის, რომ იბერია სასპერეთი ერთი და იგივე პოლიტიკური ერთეულები უნდა ყოფილიყო და იგი ძვ. წ.აღ. V-V საუკუნეებიდან მოყოლებული დაახლოებით ძვ. წ. აღ. V საუკუნის დასასრულამდე არსებობდა.

მკვლევარი ტექსტური ანალიზის საფუძველზე აკეთებს შემდეგ დასკვნებს: 1. მცდარია ალექსანდრეს ლაშქრობა საქართველოში; 2. არ შეიძლება ძვ. წ.აღ. საუკუნის მეფედ ჩაითვალოს ფარნავაზი; 3. მცდარია, რომ აზონი ალექსანდრეს სარდალი იყო; 4. მცდარია იმ პერიოდში ბუნ თურქებისა და ყივჩაღების არსებობა; 5. მცდარია, რომ თითქოს ალექსანდრეს შემოჰყვნენ ნათესავნი „ქალდეველთაგანნი“; 6. მცდარია ალექსანდრეს სიკვდილი ალექსანდრიაში; 7. მცდარია ალექსანდრეს იმპერიის ოთხ კაცზე განაწილება; 8. ცვლილებებია იმპერიის გამყოფ სარდლების სახელებშიც; 9. არაა მართებული ანტიოქიის, რომის და ბიზანტიის აშენება აღნიშნულ პერიოდში; 10. მცდარია ქართლის სამეფოს 8 საერისთავოდ დანაწილება; 11. მცდარია ფარნავაზის მიერ ქართლის ციხე-ქალაქების ხელმეორედ აშენება; 12. არაა მართებული აღნიშნულ ხანაში ბერძნებსა და რომაელებს შორის ბრძოლა; 13. მცდარია აზნაურობის წარმოშობის დრო და ტერმინთა სემანტიკა; 14. საეჭვოა ძვ.წ. აღ. საუკუნეში ქართული ენისა და მწიგნობრობის გავრცელება, თუმცა წიგნის 144 გვერდზე ბატონი სიმონი დაასკვნის, რომ ნეკრესში გამოვლენილმა წარწერებმა დაასამარა შეხედულება, თითქოს ქართული ასომთავრული ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ უნდა იყოს გაჩენილი. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ქართველ ენათმეცნიერთა ის აზრიც, რომ ფარნავაზმა შექმნა მწიგნობრობა, ხოლო მწიგნობრობაში უნდა გავიგოთ არა დამწერლობის შექმნა, არამედ უცხოური ანბანური ნიშნების გამოყენება. აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე დაასკვნის, რომ მწიგნობრობა ქართული შეიძლება ნიშნავდეს იმ დროს ქართული წერილობითი ხმარების შემოღებას „პეტეროგრაფიის“ სახით, ე. ი. რომელიმე გავრცელებულ უცხოურ ენაზე, მაგალითად არამეულად შედგენილი ტექსტის წაკითხვით ადგილობრივი ენის საფუძველზე. ძველ აღმოსავლეთში გავრცელებული იყო მწიგნობრობის ალოგლოტოგრაფია, ანუ სხვა ენაზე წერა, წარმოდგენილ ტექსტს კარნახობდნენ ქართულად, იგი სინქრონულად ითარგმნებოდა და ჩაიწერებოდა სპეციალისტი ჩამწერის მიერ არამეულად და ამოიკითხებოდა ქართულადვე.

ბატონი სიმონის აზრით, არაა მართებული თბილისის მოხსენიება ფარნავაზამდელ ეპოქაში. თუმცა ამ ბოლო დროს თბილისის შემოგარენში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე არსებული საკითხი საკვლევ პრობლემად რჩება.

ბოლოს წარმოგიდგენთ რამდენიმე შენიშვნასაც: ვფიქრობთ, რომ ერთი საკითხიდან მეორე საკითხზე გადასვლა რაღაც ნიშნით უნდა გამოიყოს, ასე მაგალითად წიგნის 42-გვერდზე ავტორი იწყებს დამწერლობა-მწიგნობრობის პრობლემურ საკითხზე მსჯელობას, შემდეგ უცბად წყვეტს თხრობას და ყოველგვარი შესავლის გარეშე განიხილავს ქალაქ თბილისის დაარსების საკითხს.

მეტი დამაჯერებლობისთვის დაზუსტებას მოითხოვს მკვლევარის მიერ წიგნში მოყვანილი ზოგიერთი ფრაზა, ასე მაგალითად, ნაშრომის 43-ე გვერდზე ნათქვამია, რომ ქართული წყაროების მიხედვით თბილისის „გაქალაქება“ ადრე ფეოდალური ხანის დასაწყისში მომხდარა, ან კიდევ თ. გამსახურდიას სჯერა ძველი ქართული წყაროებისა, რომლებიც თბილისის გაქალაქებას მიაწერენ შუა საუკუნეების პერიოდს, ან კიდევ ნათქვამი წიგნის 44-ე გვერდზე: მართალი უნდა იყოს ივ. ლოლაშვილი.... და ა.შ.

მიგვაჩნია, რომ ამა თუ იმ პიროვნებაზე მსჯელობის დროს ალბათ თავი უნდა შევიკავოთ ისეთი გამონათქვამებიდან, როგორიცაა: „ყოველმხრივ მიუტევებელი იქნებოდა“, „მკვლევარს სჯერა“ და ა.შ.

ამრიგად, ზემოთ წარმოდგენილი ნაშრომი „ფარნავაზი და არიან ქართლის ლოკალიზაცია“ საყურადღებო გამოკვლევაა ქართულ ისტორიოგრაფიაში და მას გულდასმით გაეცნობა ფარნავაზის ცხოვრებით დაინტერესებული მკითხველი.

რსუ-ს ეკონომიკის დეპარტამენტის პროფესორმა ირინე თავაძემ ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა ახალგამოცემული მისი სადისერტაციო ნაშრომი „ფულის მიმოქცევის რეგულირების გაუმჯობესების გზები საქართველოში“.

XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ საქართველოს სახელმწიფოს გაუქმებას თანდათან შედეგად მოჰყვა მეურნეობის მოშლა და ქართული ფულის ხმარებიდან ამოღება. უკანასკნელად ქართული არჩილისეული ფული 1832 წელს მოიჭრა. 1991 წელს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, დღის წესრიგში დადგა ქართული ფულის მიმოქცევის რეგულირების გზების და საშუალებების კვლევა-ძიება. მკვლევარი ნაშრომში განიხილავს თანამედროვე ეტაპზე ქვეყანაში ფულის მიმოქცევის აქტუალურ პრობლემებს. მასში საქართველოში დღეს მიმდინარე ფულად-საკრედიტო პოლიტიკის წარმოჩენის საფუძველზე დასახულია ფულის მიმოქცევის რეგულირების გაუმჯობესების გზები და საშუალებები. ავტორის მიერ შესწავლილი და გადმოვემულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხებიც, როგორიცაა ფულის წარმოშობის და ფუნქციონირების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები, ფულის მიმოქცევა



და ფულადი სისტემა საქართველოში, ფულის მიმოქცევის რეგულირება და მისი სრულყოფის ძირითადი მიმართულებები საქართველოში. მკვლევარი ძირითადად ეყრდნობა იმ პრაქტიკულ გამოცდილებას, რომელიც დააგროვა ფულად-საკრედიტო ურთიერთობებში, ფულის მიმოქვევის რეგულირების სფეროში. ნაშრომში გამოყენებულია მდიდარი ეკოსტატიკური მასალა.

ფსიქოლოგმა რუსუდან ბერიძემ კონფლიქტის ფსიქოლოგიის პრობლემებზე დიდი ხნის მუშაობის საფუძველზე გამოსცა ნაშრომი „კონფლიქტის გადაჭრის სტრატეგიების ემპირიული კვლევა“. აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილი წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ ნაშრომში კვლევის შედეგად პირველად დადგინდა ქართველთა შორის გენდერული და ასაკობრივი ფაქტორების გავლენა კონფლიქტურ სიტუაციაში ქცევის სტრატეგიულ შერჩევაზე; ასევე კონფლიქტურ სიტუაციაში ქცევის სტრატეგიის არჩევის თავისებურებანი გენდერულად განსხვავებულ სო-



ციალურ ჯგუფებში; კონფლიქტების გადაჭრის სხვადასხვა სტრატეგიას შორის ურთიერთკავშირი სქესისა და ასაკის მიხედვით განსხვავებულია სოციალურ ჯგუფებში.

მკვლევარ-ფსიქოლოგის აღნიშნული ნაშრომი დიდ დახმარებას გაუწევს კონფლიქტურ სიტუაციაში ადამიანის ქცევის ფორმების შესწავლით დაინტერესებულ სპეციალისტებს.

გვერდი მოამზადა

მერაბ მეგრელიშვილმა

რედაქტორი:
იოსებ სანიკიძე

სპეციალისტი:
ნესტან მამუჭაძე

სარედაქციო კოლეგია:
იური ბიბილეიშვილი
ბიჭიკო დიასამიძე
მამია ფაღავა
ნანა ცეცხლაძე
მერაბ მეგრელიშვილი

გაზეთი დაიბეჭდა
სს „პოლიგრაფისტში“
27-59-10, 27-59-11
მის.: ქ. ბათუმი,
გორგილაძის 91